

"პატრიოტული აღზრდის ქალაქი" A2



"ალტა" "ირმის ნახტომში" შედის A3



მელუა ფილმის საუნდტრეკზე მიიწვევს A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 26 აგვისტო, 2005 წელი. №192 (1052) | ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

ევროპა სტიქიას ებრძვის



წყალდიდობის მსხვერპლთა რაოდენობა, რაც ათეულობით ადამიანით განისაზღვრება, დღითიდღე იზრდება.

A4

## უცხოეთი

აფეთქება ნაზრანში - დაჭრილია ინგუშეთის პრემიერ-მინისტრი



აფეთქებისას 4 ადამიანი დაიჭრა, ხოლო პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის ერთ-ერთი წევრი ადგილზევე გარდაიცვალა.

A4

## სპორტი

„ლივერპული„ VS „ჩელსი„




A6

## ამინდი

| | 26/08 | 27 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 30 |
| ტყიბული | 36 | 31 |
| სოხუმი | 34 | 32 |
| დმანისი | 30 | 27 |
| გორი | 31 | 28 |
| ონი | 27 | 25 |
| ზუგდიდი | 39 | 35 |
| ახმეტა | 35 | 28 |
| გაგრა | 31 | 29 |
| სამტრედია | 38 | 34 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1929 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2270 |
| რუბლი | 0.0630 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| ამბები | A 5 |
| განცხადებები | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# რუსული გაზი ძვირდება

**გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროს ასამოქმედებლად კი საქართველოს რუსეთის თანხმობა სჭირდება**

*გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროს ასამოქმედებლად საქართველოს რუსეთის თანხმობა სჭირდება. საქართველოს შეუძლია, ყაზახეთიდან ბუნებრივი აირი მიიღოს, თუმცა, აირის ტრანსპორტირებაზე თანხმობა რუსეთმა უნდა განაცხადოს, რადგან ყაზახეთიდან ბუნებრივი აირი უახლოეს პერიოდში საქართველოში რუსეთის ტერიტორიაზე გავლის გარეშე ვერ შემოვა - ასეთია რეალობა, რომლის შესახებაც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა.*

თამარ ივანიძე

ეს საკითხი ენერგეტიკის მინისტრის მომავალი მოსკოვური ვოიაჟის ერთ-ერთი თემა გახლავთ. როგორც ხეთაგურმა აღნიშნა, 5-6 სექტემბერს საქართველოის ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მოსკოვში "გაზპრომთან" მოლაპარაკებებს გამართავს და რუსულ კომპანიასთან ურთიერთთანამშრომლობის ახალი ხელშეკრულების დეტალებს დააზუსტებს. საქართველოს მთავრობა "გაზპრომთან" ურთიერთობის ახალ სტრატეგიას ამზადებს. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართეს გუშინ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა და საქართველოში "გაზექსპორტის" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა დავით მორჩილაძემ ერთობლივი პრესკონფერენცია.

ჯერჯერობით გაურკვეველია, დაზუსტდება თუ არა ახალ ხელშეკრულებაში საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ფასი. როგორც მორჩილაძე აცხადებს, აირის ღირებულება, სავარაუდოდ, გაიზრდება, მაგრამ - რამდენით, ეს მოლაპარაკების დროს გადაწყდება.

გაზის ფასი აუცილებლად გაიზრდება, რადგან გაზის ფასმა მოიმატა აზიაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და თვით რუსეთშიც. თუმცა, მორჩილაძე ვერ აკონკრეტებს, რამდენად გაიზრდება ტარიფი. **"ფასზე საუბარი მას შემდეგ დაიწყება, რაც კონტრაქტს ხელი მოეწერება. ახალი ხელშეკრულება იანვრიდან ამოქმედდება და, შესაბამისად, ტარიფის ზრდასაც ამ პერიოდისთვის უნდა ველოდოთ,"** - განაცხადა მორჩილაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" გაზსადენის რეაბილიტაციას დააფინანსებს

**ამერიკელი ექსპერტები მოსამზადებელი სამუშაოებით კმაყოფილები არიან**

თამარ ივანიძე

*ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" სამეთვალყურეო საბჭომ საქართველოს "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" დაამტკიცა. საქართველოს პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, პროექტების განხორციელება მომავალი წლიდან დაიწყება. აღნიშნული 300 მილიონი დოლარიდან ძირითადი თანხა - 102,2 მილიონი დოლარი სამცხე-ჯავახეთის გზის აღდგენაზე დაიხარჯება, 60 მილიონი დოლარი მოხმარდება რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო ენერგეტიკის სექტორისთვის, მათ შორის - მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისთვის, 49,5 მილიონი დოლარი გამოიყოფა. დარჩენილი 32,5 მილიონი დოლარი განვითარების საინვესტიციო ფონდს მოხმარდება, რომლის მთავარ პრიორიტეტებს სოფლის მეურნეობა და ტურიზმი წარმოადგენს. "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევაზეა ორიენტირებული. 1 მილიარდი დოლარის ბიუჯეტის მქონე პროგრამიდან საქართველოს 300 მილიონი ერგო, რითაც აღნიშნული ოთხი პროექტი დაფინანსდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



# როგორ ვიმოგზაურე 60-იან წლებში

***ჯორჯ ჰარისონი: "ყველაფერი, რაც როკ-ენ-როლის შესახებ ვიცი, ტონი შერიდანმა მასწავლა."***

გიორგი ჯანელიძე

*1980 წლის 9 დეკემბერს ჩემს მშობლებთან ერთად სკოლისკენ ტაქსით მივდიოდი. მანქანის რადიომ წინა დღეს მომხდარი ტრაგედია - ჯონ ლენონის მკვლელობა გვაუწყა. არ ვიცი, ამ ფაქტმა რამდენად მოახდინა გავლენა ჩემი მუსიკალური ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ცხადია, რომ მოგვიანებით, როკ-ენ-როლის ფენომენის, 60-იანელებისა და "ბითლზის" ისტორიის შესწავლას დიდი დრო დავუთმე.*
*გავიდა ხანი. მეგონა, რომ "ბითლომანია" ჩემთვის ისეთივე დროებითი გატაცება იყო, როგორც ჩემი თანატოლებისთვის. თუმცა, არაფერი მომიმოქმედია ამ გატაცებისთვის თავის დასაღწევად...*
*გატაცებისთვის, რომელსაც ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავუყენებივარ.*

გაგრძელება A5 გვერდზე




ტონი შერიდანი დღეს

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა

*ბოლო პერიოდში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის აშკარად მკვეთრი გაუარესების გამო, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ წერილი გაუგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებს და კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეებს. იგი 2 სექტემბერს თბილისში საკონტროლო კომისიის სხდომის ჩატარების ინიციატივით გამოვიდა.*

სახელმწიფო მინისტრის წერილში ნათქვამია, რომ სიტუაციის გართულება კონფლიქტის ზონაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გააქტიურებამ გამოიწვია. საქმე ის გახლავთ, რომ გუშინ ე.წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ხეობის ქართულ სოფლებთან დამაკავშირებელი შემოვლითი გზა გადაკეტეს, რასაც არც რუსი სამშვიდობოები შეწინააღმდეგებიან. როგორც სამშვიდობოები აცხადებენ, ეს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით კეთდება, რადგან, მათი თქმით, ტყეში შეიარაღებული ოსური დაჯგუფებები არიან შესული, რომლებიც, შესაძლოა, შურისძიების მიზნით ქართველებს თავს დაესხნენ. ვითარების დაძაბვა გამოიწვია 24 აგვისტოს საღამოს მომხდარმა ინციდენტმა, როცა სოფელ ქურთასთან ხუთი ოსი - სამი მამაკაცი, ერთი ქალი და ბავშვი გაიტაცეს. ამ გატაცების უკან 6 ივნისს ცხინვალიდან გატაცებული ხაჭაპურიძეების ახლობლებს მოიაზრებდნენ. შეგახსენებთ, გატაცებულია ოთხი ქართველი და დღემდე უცნობია, ცოცხლები არიან თუ არა ისინი.

ოსების გატაცების საქმეში მაშინვე ჩაერთვნენ ქართველი სამართალდამცველები და ხუთივე მძევალი გაათავისუფლეს. გატაცებულები პირადად შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბრძანებით დააბრუნეს, რის შემდეგაც მინისტრმა ოსურ მხარეს მოუწოდა, ასეთივე ოპერატიულობით მიეღწია გატაცებული ქართველების გათავისუფლებისთვის. გატაცებული ხაჭაპურიძეების ნათესავების განცხადებით, ხუთი ოსის მძევლად აყვანა, **"გამწარებული ხალხის საპასუხო რეაქცია იყო"**, ხოლო ისინი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ხაჭაპურიძეების ნათესავებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში გაუწიეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქართველები ბელორუსიდან დეპორტაციის მოლოდინში

*პროკურორის სანქციის თანახმად, ბელარუსში დაკავებული ორი ქართველი "კმარელი" - გაზეთ "24 საათის" ჟურნალისტი გიორგი კანდელაკი და რეჟისორი ლუკა წულაძე, პატიმრობაში კიდევ სამი დღის განმავლობაში დარჩებიან. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ "კმარელების" საქართველოში დეპორტაცია 27 აგვისტოს მოხდება. მინსკის მოსკოვის რაიონის პროკურორის ვიქტორ ჟინგელის თქმით, ქართველების დაკავების მიზეზი "სავიზო რეჟიმის დარღვევა" გახდა.*

კანდელაკი და წულაძე, ასევე ბელარუსის ახალგაზრდული მოძრაობა "ზუბრის" კოორდინატორი ვლადიმერ კობეცი, მინსკის ცენტრში 24 აგვისტოს დააკავეს. ორიოდე საათში კობეცი გაანთავისუფლეს, ქართველები კი პატიმრობაში დარჩნენ. ბელორუსი სამართალდამცავები აცხადებენ, რომ შემოწმებისას დაკავებულ ქართველებს "მეტად საეჭვო" დოკუმენტები აღმოაჩნდათ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო "ბელორუსი სამართალდამცავების მიერ ქართველების უსაფუძვლო დაკავება" და მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ განცხადებას მინსკში იგნორირება გაუკეთეს. როგორც ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა გუშინ ბრიფინგზე აღნიშნა, საქართველოს საგარეო უწყებას ბელორუსისთვის მსგავსი განცხადებით არ მოუმართავს.

**"ყოველდღიურად ჩვენს ქვეყანაში არაერთ კანონდამრღვევ უცხო ქვეყნის მოქალაქეს აკავებენ. ყველა დაინტერესებულ პირს ვურჩევ, საქართველოს მოქალაქეების დაკავებასთან დაკავშირებული საკითხები არა საგარეო უწყებაში, არამედ ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტროში გაარკვიონ,"** - აღნიშნეს ბრიფინგზე.

გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის ხელმძღვანელმა, ბელორუსმა ოპოზიციონერმა ანატოლი ლებედკომ ქართველი ახალგაზრდების დაკავების ფაქტს "ბანდიტიზმი" უწოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჭუბურხინჯში მხარეებმა კრიმინოგენულ ვითარებაზე ისაუბრეს

ოჩამჩირის რაიონის სოფელ მეორე გუდავაში აფხაზმა კრიმინალებმა ადგილობრივი მცხოვრები, ოთარ ჭკადუა მოკლეს.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ხელმძღვანელის ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ჭკადუას თავს მაშინ დაესხნენ, როდესაც საკუთარ თხილის პლანტაციაში მუშაობდა. თავდასხმა თხილის წართმევის მიზნით მოხდა.

მკვლელობის ფაქტი გუშინ, ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე განიხილეს. აფხაზური მხარის განმარტებით, გამოძიებას ოჩამჩირის რაიონის მილიცია და პროკურატურა აწარმოებენ. ეჭვმიტანილთა სავარაუდო ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის.

ჭუბურხინჯის შეხვედრაზე გასული კვირის განმავლობაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი საერთო ვითარების შესახებაც ისაუბრეს. რომ არა ზემოთ ნახსენები მკვლელობა, სიტუაცია შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მშვიდი და სტაბილური.

როგორც შეხვედრაზე აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვალერი ლომიამ განაცხადა, ადმინისტრაცია და აფხაზური მილიცია ყველა ზომას მიმართავს, რათა თხილის სეზონთან დაკავშირებით გალის რაიონში კრიმინალური მდგომარეობა არ დაიძაბოს.

ვალერი ლომიას განცხადებითვე, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ხანებში შედარებით გახშირდა წვრილ-წვრილი ყაჩაღობის და ხულიგნობის ფაქტები, თუმცა, მისივე თქმით, მასშტაბური თავდასხმები გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებზე გასული კვირის განმავლობაში არ მომხდარა.

გაგრძელება A3 გვერდზე

საქართველოს პრეზიდენტის

## განკარგულება

**N676 2005 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი**

### საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (მ. სხირტლაძე) შექმნას ღია კონკურსის სამდივნო (მისამართი: 0134, ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. N7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია).

3. ყველას აქვს სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღეში. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ვაკანტურ საკონკურსო თანამდებობაზე არ დასახელდება 3 ან მეტი კანდიდატურა, ცხადდება ახალი კონკურსი.

4. მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

5. მეურვეობის კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში ქვეყნდება სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების სია.

*მიხეილ სააკაშვილი*

## „ეტერნიტი 2005" - თუ გული გულობს, ნავთობსადენს კომპიუტერებითაც დაიცავ

*საქართველოს თავდაცვის აკადემიის ერთ-ერთ სასწავლო კორპუსში მეხუთე დღეა, მიმდინარეობს და 28 აგვისტოს დასრულდება სამმხრივი - აზერბაიჯანული, თურქული, ქართული - სამეთაურო-საშტაბო სწავლება. იგი, ერთი შეხედვით, მეტად უცნაურია: სამხედროები, კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, თავად ქმნიან ექსტრემალური ვითარების სცენარებს და სწორი გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ, რათა რეალურ საფრთხეს მომზადებულნი შეხვდნენ.*

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისათვის„

საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი დარწმუნებულნი არიან, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობი დაუსრულებლად იდენს. შესაბამისად, სამხედრო თეორეტიკოსებმა სამმხრივ სწავლებას, რომლის მთავარი მიზანი ნავთობსადენის უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტის დამუშავებაა, "ეტერნიტი" - "დაუსრულებლობა" - უწოდეს. "დაუსრულებლობამ" სტარტი 2000 წელს თურქეთში აიღო და ყოველწლიურად მორიგეობით ტარდება მონაწილე ქვეყნებში. სწავლება მხოლოდ კომპიუტერების მეშვეობით წარმოებს და ძალიან წააგავს თამაშს რუკაზე. არ არსებობს ჯარი, ტანკები და ავიაცია, მაგრამ სწავლებას გადაწყვეტილების მიმღები ოფიცრებისათვის მაინც დიდი მნიშვნელობა აქვსო, განაცხადა თურქეთის მხრიდან წვრთნების ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ფიქრეთ ჯანითიზმა.

**"სწავლების მიზანია, გაღრმავდეს მართვის უნარი, დამყარდეს მეთაურებს შორის ურთიერთგაგება მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციებისა თუ ნავთობსადენის დაცვის დროს. ინტეროპერაბილურობის ასამაღლებლად კი მზადდებიან მეთაურები და შტაბის ოფიცრები ბრიგადების დონეზე, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მეთაურებმა შეძლონ ნავთობსადენის დაცვის პროცედურებით გათვალისწინებული ზომების მიღება, შესაბამისი შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის გამოყენებით. სწავლების ფორმაა სამეთაურო-საშტაბო. ასე რომ, ჩვენ არ გამოგვიყვანია სამხედრო ნაწილი პოლიგონზე,"** - ამბობს თურქი ოფიცერი.

სწავლების ორგანიზატორებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის რამდენიმე მარშრუტი პოტენციური მოწინააღმდეგის თავდასხმის ობიექტად განსაზღვრეს. სწავლების ლეგენდაში მითითებულია მოწინააღმდეგის ძალები და საშუალებები, მანევრულობა და მოქმედების სავარაუდო მიზანი. აზერბაიჯანელი, თურქი და ქართველი ოფიცრებისგან შექმნილ ბრიგადის შტაბს კი დავალებული აქვს მიიღოს სწორი გადაწყვეტილება შექმნილ სიტუაციაში.

**"მრავალეროვნული ბრიგადის დაქვემდებარებაშია სამი - აზერბაიჯანული, თურქული და ქართული - ბატალიონი. ისინი იცავენ საკუთარ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ახორციელებენ რა ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვას. ისინი შეისწავლიან, აგრეთვე, იმას, თუ რა სახის ჰუმანიტარული დახმარება იქნება საჭირო ამ ამოცანის შესრულების დროს,"** - ამბობს ვიცე-პოლკოვნიკი ფიქრეთ ჯანითიზი.

შეკითხვაზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს რამდენად რეალურად ემუქრება საფრთხე, რომლისგანაც ობიექტის დაცვა აქტიური სამხედრო კომპონენტის გამოყენებას მოითხოვს, ვიცე-პოლკოვნიკი ფიქრეთ ჯანითიზი მხედრულ სიბრძნეს იხსენებს: არმია ან ომობს, ან ემზადება ომისთვისო. ყოველ შემთხვევაში, ქართველი, აზერბაიჯანელი და თურქი სამხედროები ერთობლივ სამეთაურო-საშტაბო სწავლებას ნავთობსადენის დასაცავად 6 წელია ატარებენ და თუ სწავლების სახელწოდების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება პოტენციური მტრის გულის გასახეთქად.


### "ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს"/ემ-სი-ჯი/ განცხადება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების საყურადღებოდ

ემ-სი-ჯი ქმნის საკონსულტაციო კომიტეტს, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად წარმოდგენილი იქნება სამი არასამთავრობო და ორი ბიზნეს სექტორის წარმომადგენელი. დეტალური ინფორმაცია კომიტეტის მიზნების, წევრთა შერჩევის სქემისა და კრიტერიუმების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ელ. გვერდზე: www. mcg.ge/announcements. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ 16 სექტემბრამდე წარმოადგინონ კანდიდატურები და სათანადო ინფორმაცია (იხილეთ ელ. გვერდი) შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. 4, I სართული ან მოგვაწოდონ ელ. ფოსტით: n. partsvania@mcg.ge


# "პატრიოტული აღზრდის ქალაქი"

20 წლის წინანდელი ოცნება ცოცხლდება

მაია მოსიაშვილი



რუსთავის განახლებული მთავრობის ოფიციალური წარდგენა, ქალაქის ერთ-ერთ განახლებულ ეზოში უამრავი ბავშვის ჟრიამულის თანხლებით შედგა. ამ არაორდინალური და სიმბოლური წარდგინების ავტორად და რეჟისორად, საზოგადოებას პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი მოევლინა. ახალი მერის, დავით ნადაშვილის ოთხი ახალი მოადგილე - ლეილა აფციაური, ზაზა სულაძე, კახი თხელიძე და იაკობ ბადაგაძე - რუსთაველები არიან, არაანგაჟირებული წარსული აქვთ და თანაქალაქელები მათ საქმიან ადამიანებად მიიჩნევენ.

**"თქვენ ყველანი რუსთაველები ხართ და ისეთივე პირობებში ცხოვრობთ, როგორც ეს ხალხი. ახლა თქვენ გაქვთ საშუალება, იზრუნოთ ყველა რუსთაველის ყოფის გაუმჯობესებაზე,"** - ასე მიმართა მათ მელიქიშვილმა. მისი მთავარი "მესიჯი" კი ასეთი იყო - აკეთეთ ის, რაც ხალხს სჭირდება, პირველ რიგში ეს არის წყალი, რომელიც რუსთაველებს სანატრელი აქვთ.

ეზო, სადაც რუსთავის ხელისუფლების ახალი წევრები წარადგინეს, რამდენიმე თვის წინ სრულიად გაპარტახებული იყო. ზურაბ მელიქიშვილის უშუალო ინიციატივით და მისი ფონდის დაფინანსებით ეზოში აღდგა ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, აუზები, საბავშვო ატრაქციონები და ღია ამფითეატრი. გაკეთდა განათებაც და ახლა ის ახალგაზრდების საყვარელი თავშეყრის ადგილია. ადგილობრივები ამ ეზოს დღესაც ჟიული შარტავას სახელს უკავშირებენ, რადგან სწორედ მან ააშენა ეს სახლი ზუსტად 20 წლის წინათ.

რაზეც უნდა იკითხოთ რუსთავში - სკვერებზე, მოედნებზე თუ გზებზე, - ეს ვინ გააკეთაო? ნებისმიერი რუსთაველი გიპასუხებთ: ეს შარტავას დროინდელია...

ეს ადამიანი რუსთავს 1985-86 წლებში ხელმძღვანელობდა და ახლა, 20 წლის შემდეგ, მისი დაწყებული საქმის გაგრძელება ამ ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შარტავას მაშინდელი მოადგილე იუზა მაჭავარიანი იხსენებს, რომ მაშინ რუსთავში ბავშვთა პატრიოტული აღზრდის ქალაქის მშენებლობა დაიწყო, თუმცა ვერ დასრულდა. თითქმის ყველა კორპუსთან შენდებოდა სპორტული მოედნები, ჩაფიქრებული იყო ბეისბოლის სტადიონის მშენებლობაც, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთადერთი იქნებოდა. "პატრიოტული აღზრდის ქალაქის" იდეის რეალიზება ჟიული შარტავას რუსთავიდან წასვლის შემდეგ, 1987 წლის დასაწყისში შეჩერდა.

**"თუ ამ ძველ საქმეს ეს ახალი ხელისუფლება გააგრძელებს, ამას მთელი რუსთავი აიტაცებს, ქალაქი გაცოცხლდება, ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობა გაიზრდება. მე და ჟიულიმ დავიწყეთ, მაგრამ დასრულება აღარ დაგვცალდა. ქალაქის ახალი მთავრობის წევრები რუსთაველები არიან და პოლიტიკური მხარდამჭერის ქონის შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ისინი ბევრს გააკეთებენ საკუთარი ქალაქისათვის,"** - ამბობს მაჭავარიანი.

"დღევანდელ საქართველოში პატრიოტული ბანაკები უკვე გვაქვს და საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი გმირის, ჟიული შარტავას ოცნების - "პატრიოტული ქალაქის" - მშენებლობის გაგრძელებაც არ უნდა იყოს უტოპიური," - ასე ფიქრობენ რუსთაველები.

# მთავრობას ეროვნული ბანკის წინაშე მიმდინარე დავალიანება არ გააჩნია

დავალიანებებს კი მთავრობა ბიუჯეტიდან დროულად ისტუმრებს

*საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობას ეროვნული ბანკიდან წელს სესხი არ აუღია, რის გამოც მთავრობას ეროვნული ბანკის წინაშე მიმდინარე დავალიანება არ გააჩნია.*
*ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, ბანკის წინაშე წინა წლებში წარმოშობილ დავალიანებებს მთავრობა ბიუჯეტიდან დროულად ისტუმრებს.*

"საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი შეთანხმებულად მოქმედებენ, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოს მთავრობის მემორანდუმი - "საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ" - საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა მოიწონა. სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს 2005 წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში გასატარებელ ღონისძიებებში მხარდაჭერა აღუთქვა," - განაცხადა ამაღლობელმა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა ფასების სტაბილურობისა და ლარის გაცვლითი კურსის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული.

"საქართველოს მთავრობას ეროვნული ბანკიდან წელს სესხი არ აუღია, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. ამიტომ, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მთავრობა ეროვნული ბანკის წინაშე აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს, სინამდვილეს არ შეესაბამება," - აღნიშნა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა.

2005 წლის 5 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშზე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის" პროგრამის ფარგლებში, 14 მლნ-ის მოცულობის ტრანში ჩარიცხა.

**24 საათი**

# კახელები თვითმმართველობის საკითხებზე ტრენინგებს გადიან

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, ურბანული ინსტიტუტის მხარდაჭერით, უკვე მეორე დღეა, რაც კახეთის რეგიონში მოქმედი არასამთავრობო სექტორისთვის მართავს სემინარს, რომლის მიზანია ცოდნის ამაღლება დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის საკითხებში. **"ახლა საინტერესო პერიოდია ამ სფეროსათვის, რადგან მომავალ წელს ველოდებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და უნდა განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები. სწორედ ამ ეტაპზე აუცილებელია კვალიფიციური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რათა რეფორმა ეფექტურად და რეალურად განხორციელდეს,"** - აცხადებს ასოციაციის წარმომადგენელი ლელა ხომერიკი. ამ ორგანიზაციამ ტრენინგ-პროგრამები საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჩაატარა. როგორც სემინარებზე გამოიკვეთა, ყველა რეგიონს ერთი პრობლემა აქვს, რადგან ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა და არ არსებობს კონცეპტუალური მოდელი.

**"ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს სათანადო ფინანსური სახსრები, ქონება. საბიუჯეტო სისტემა საქართველოში ისეა მოწყობილი, რომ მთელი ფინანსური სახსრები თავმოყრილია ე.წ. გამგეობის ბიუჯეტში და გადანაწილების შედეგად თვითმმართველობა თავის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს კარგავს. ასე რომ, საკითხები, რომლებიც წლიდან წლამდე გადადის, უნდა დარეგულირდეს. ამ პერიოდში მთავარი გაწვევა საქართველოსთვის სწორედ ის არის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მოახდინოს არა კოსმეტიკური, არამედ რეალური, მძლავრი რეფორმა. ძლიერი სახელმწიფო წარმოუდგენელია, ძლიერი თვითმმართველობის გარეშე,"** - აღნიშნავს ხომერიკი.

ესქსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამგავრი სემინარები აუცილებელია საზოგადოებისთვის, რადგან მათ თავიანთი უფლებების დაცვის არგუმენტირებული მოთხოვნილება ჰქონდეთ.

**24 საათი**

# ოზურგეთში 5 სექტემბერს წყალსადენის მშენებლობა დაიწყება

თამაზ ხარაიშვილი

რამდენიმე წელია ქ. ოზურგეთის მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი. ყველა წინა ხელისუფლების მცდელობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად უშედეგო აღმოჩნდა. ახლა კი მდგომარეობის გამოსწორების რეალური გზები გამოჩნდა. ოზურგეთის გამგებლის ვალერი ჩიტაიშვილის ინფორმაციით, დასრულდა წყალსადენის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა რუსულმა კომპანია "სმუ ინგეოკომმა". აღნიშნული ტენდერის საკონკურსო დოკუმენტაცია მსოფლიო ბანკმა 2005 წლის 8 ივნისს დაამტკიცა. ტენდერში ორი უცხოური და ხუთი ქართული კომპანია მონაწილეობდა და 26 ივლისს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში სატენდერო წინადადებების განხილვის შემდეგ, უპირატესობა სწორედ "სმუ ინგეოკომს" მიენიჭა. ეს კომპანია რუსეთშია რეგისტრირებული და მას მსგავსი მშენებლობების დიდი გამოცდილება აქვს. ოზურგეთის წყალსადენის მშენებლობა 5 სექტემბერს დაიწყება.

*მოკლედ*

### სომხეთის კათალიკოსი სამცხე-ჯავახეთში ვიზიტს არ გეგმავს

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის კანცელარიის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ვაგრამ მელიქიანი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, სომხეთის კათოლიკოსის გარეგინ II-ის სამცხე-ჯავახეთში შესაძლო ვიზიტის შესახებ.

როგორც მელიქიანმა სააგენტო "რეგნუმს" განუცხადა, გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება და სომხეთის კათოლიკოსი სამცხე-ჯავახეთის მხარეში გამგზავრებას არ გეგმავს.

გარეგინ II-ის საქართველოში ვიზიტის შესახებ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის მხარეში მოქმედმა სომხურმა საინფორმაციო სააგენტო "ა-ინფომ" გაავრცელა. ინფორმაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელი სომეხი კათოლიკოსი, რომელიც ჯავახეთში იმყოფებოდა, მამა ხრიმიანი იყო. იგი ამ რეგიონს 1896 წელს სტუმრობდა. **ინტერპრესნიუსი**

### სკოლებში "კათოლიკური" ახალგაზრდული კლუბები აღარ შეიქმნება

კათოლიკური ორგანიზაციის მიერ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებული პროგრამა "ვაშენოთ მომავალი", რომელიც სკოლებში ახალგაზრდული კლუბების შექმნას ითვალისწინებდა, ახალი სასწავლო წლიდან შეჩერდება. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქო იუწყება.

საპატრიარქოში მიიჩნევენ, რომ იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელია, დაუშვებელია რომის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია საქართველოს საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად საერო სკოლებში საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით, საერო სკოლები რელიგიისგან თავისუფალია.

მათი აზრით, ამგვარი ქმედებები უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში და ჩრდილს აყენებს რომის საყდარსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის არსებულ ტრადიციულ ურთიერთობას. **პრაიმ-ნიუსი**

### "საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს"

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს.

როგორც ჟურნალისტებს რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსეი მასლოვმა განუცხადა, "საქართველოში რუსეთის ბაზების ირგვლივ ნორმალური ვითარებაა და პრობლემები ჯერჯერობით არ ჩანს."

მისი სიტყვებით, ადგილობრივი მოსახლეობა გზებს არ კეტავს, თუმცა ბაზების გაყვანას სინანულით შეხვდა.

მთავარსარდლის თქმით, გატანილია შეიარაღების ის ნაწილი, რომელიც, გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე უნდა გატანილიყო.

მათ შორისაა 40 ერთეული მძიმე ტექნიკა, 50-ზე მეტი ერთეული საავტომობილო ტექნიკა, მისაბმელები და სამხედრო ქონების ნაწილი.

გენერალმა აღნიშნა, რომ ბაზების გატანის მომდევნო წლის გეგმა ახლა ზუსტდება, შესაბამისი შეთანხმება კი, რომელიც თითქმის მზადაა, საქართველოსთან გაფორმდება.

რუსეთის სამხედრო ბაზებმა საქართველოს ტერიტორია 2008 წლის ბოლომდე უნდა დატოვონ. **პრაიმ-ნიუსი**

### ბაგაფში თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორაში გავრცელებულ ხმებს უარყოფს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს თურქეთში მცხოვრებ აფხაზურ დიასპორაში გავრცელებულ ხმებს, თითქოს აფხაზეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სუვერენიტეტსა და აფხაზეთში მუჰაჯირების შთამომავლების დაბრუნებაზე უარი თქვა.

ამის შესახებ განცხადება გუშინ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა "აფხაზეთის სოლიდარობის სტამბულის კომიტეტის" ხელმძღვანელებთან, ირფან არგუნთან და გიუნდზა გეჩბასთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

სერგეი ბაგაფში თურქეთში მცხოვრებ დიასპორაში გავრცელებულ ხმებს უსაფუძვლოს უწოდებს და აღნიშნავს, რომ "მუჰაჯირთა შთამომავლები, ჩვენი ქვეყნისათვის რთულ დროს, აფხაზეთის ხელისუფლებისათვის უმთავრესი დასაყრდენია."

მისივე თქმით, აფხაზეთის ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთის ხელისუფლების მთავარი ამოცანა ქვეყნის სუვერენიტეტის აღიარებაა.

ბაგაფშის განმარტებების მიუხედავად, "აფხაზეთის სოლიდარობის სტამბულის კომიტეტის" ხელმძღვანელობა დიასპორაში გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ "აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შ ესახებ თურქეთში არაადეკვატური ინფორმაცია ვრცელდება."

თურქეთში აფხაზური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ვლადიმერ ავიძბას განმარტებით, "აფხაზეთის სოლიდარობის სტამბულის კომიტეტში" ხელმძღვანელობისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია და კომიტეტის სხვა წევრები სოხუმში ვიზიტით მყოფთა გადადგომას კარგა ხანია, ითხოვენ. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ალტა" "ირმის ნახტომში" შედის




გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამინისტროსა და კომპანია "ალტას" შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის 1 200 კომპიუტერისა და 66 პრინტერის შესყიდვა განხორციელდება პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამინისტროს მხრიდან - მინისტრის მოადგილემ, სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ თეიმურაზ სამადაშვილმა, კომპანია "ალტას" მხრიდან - აღმასრულებელმა მენეჯერმა დავით ქუჩულორიამ. ცერემონიას დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია.

სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში სკოლებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენისა და ადგილებზე ინსტალაციის მიზნით გამოცხადებულ, პირველ ღია ტენდერში გამარჯვებული 16 აგვისტოს გამოავლინა. პირველ ტენდერში გაიმარჯვა შპს "ალტამ". **"ჩვენი ორგანიზაცია 1997 წლიდან არსებობს და წარმატებულად მოღვაწეობს, მაგრამ ამ რანგის სასიხარულო და საპასუხისმგებლო საქმე ჯერ არ გვქონია,"** - განაცხადა "ალტას" აღმასრულებელმა მენეჯერმა დავით ქუჩულორიამ.

ტენდერი, შეძენილი კომპიუტერების რაოდენობის მიხედვით, საქართველოში უპრეცედენტოა. ასეთი დაბალი საცალო ფასი - 1345 ლარი - საქართველოში საქარხნო წარმოების კომპიუტერზე ჯერ არ დაფიქსირებულა. სულ, პირველი ტენდერის ღირებულება 1 მილიონ 614 ათას 300 ლარს შეადგენს. შპს "ალტა" 15 ოქტომბრისთვის უზრუნველყოფს 1200 ცალი ქართული კლავიატურიანი კომპიუტერის, ამდენივე უწყვეტი კვების წყაროს და 66 პრინტერის 230 სკოლაში ინსტალირებას. ეს საქართველოში ყოველი მეათე სკოლაა. მეორე ანალოგიური ტენდერი წელსვე ჩატარდება. პროგრამა "ირმის ნახტომი" ოთხ წელიწადში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სრულ კომპიუტერიზაციას ითვალისწინებს.

დაბალი ფასი, ღია ტენდერში მონაწილე კომპანიების სიმრავლისა და კონკურენციის გარდა, იმითაცაა განპირობებული, რომ კომპიუტერებზე ღია / უფასო კოდზე ოპერაციული სისტემა "ლინუქსი" იქნება ინსტალირებული.

230 სკოლა, სადაც პროგრამის ფორმატით პირველად დაიდგმება კომპიუტერები, შეირჩევა პირველი საგრანტო საკონკურსო პროექტების მიხედვით, რომლებიც პირველ სექტემბრამდე უნდა წარადგინონ სკოლებმა საქართველოს ქალაქებიდან: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, გორი, თელავი, ოზურგეთი.

**24 საათი**

# რუსული გაზი ძვირდება

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ ამჟამად საქართველო "გაზექსპორტისაგან" 1000 კუბურ მეტრ გაზს 60 დოლარად ყიდულობს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეს ტარიფი ევროპულ ფასებს უნდა გაუტოლდეს, რაც 160-დან 200 დოლარამდე მერყეობს. მორჩილაძემ ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. **"ტარიფის დათვლის სპეციფიკა ძალიან რთულია და ამაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც სპეციალისტები მის დაანგარიშებას დაიწყებენ,"** - განაცხადა მორჩილაძემ.

"გაზპრომსა" და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულების მომზადებას საქართველოში რუსეთის ტრანსპორტის მინისტრის ვიზიტის დროს გაფორმებული ოქმი ითვალისწინებს. გრძელვადიან ხელშეკრულებაში, რომელიც, სავარაუდოდ, ახალი წლიდან ამოქმედდება, გათვალისწინებული იქნება საქართველოს მთავრობისა და "გაზპრომის" ინტერესები.

"გაზპრომსა" და საქართველოს შორის 25-წლიანი ურთიერთთანამშრომლობის პირველი ხელშეკრულება 2003 წელს, დავით მირცხულავას მინისტრობის დროს გაფორმდა. ქართულ მხარეს სურს, ხელშეკრულება უფრო კონკრეტული და გამჭვირვალე იყოს. ამიტომ, "გაზპრომი" მზად არის, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნიკა გილაური შეეცდება, "გაზპრომისგან" ყაზახური გაზის რუსეთის გავლით ტრანსპორტირების უფლება მოიპოვოს. ამის შესახებ საქართველოსა და ყაზახეთის ენერგეტიკის სამინისტროებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ოქმი აგვისტოს დასაწყისში, ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ყაზახეთში ვიზიტის დროს გაფორმდა. ვიზიტის მსვლელობისას გადაწყდა, რომ ყაზახეთი საქართველოსთვის ბუნებრივი აირის დამატებით მოცულობას გამოძებნის.

ამჟამად საქართველო ბუნებრივ აირს რუსეთიდან იღებს, თუმცა, 2007 წლიდან გაჩნდება გაზის მომარაგების მეორე, ალტერნატიული წყარო "შაჰ-დენიზი - ერზერუმის" გაზსადენის სახით.

# "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" გაზსადენის რეაბილიტაციას დააფინანსებს

## ამერიკელი ექსპერტები მოსამზადებელი სამუშაოებით კმაყოფილები არიან

პირველი გვერდიდან

**"პროგრამას ოფიციალურად ხელი 13 სექტემბერს მოეწერება, როდესაც პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით ამერიკაში გაემგზავრება. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული პროგრამის მიხედვით საქართველოში საინვესტიციო გარემოს გააქტიურება წელსვე დაიწყება,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ამ 300 მილიონში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი წილი გაზის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილ თანხას უკავია, იმ თანხებს, რომლებმაც ამ ეტაპზე გაზსადენის პრივატიზაციის საკმაოდ აჟიტირებული საკითხის მოხსნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ გაზსადენის პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი შეფასების მიზნით, საქართველოში მსოფლიო ბანკის, BP-სა და "ათასწლეულის გამოწვევის" ფონდის ექსპერტები იმყოფებოდნენ. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ჯგუფმა, წინასწარი სკეპტიციზმის მიუხედავად, ქართული მხარის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა, რაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ.

22 აგვისტოს კი საქართველოს აშშ-ს კონგრესის თანამშრომლების სპეციალური ჯგუფი ეწვია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გზისა და მილსადენის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო, ასევე, გამართა ოფიციალური შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის - გაზის საერთაშორისო კორპორაციაში, არასამთავრობო და ბიზნეს-სექტორების წარმომადგენლებთან, პრემიერ-მინისტრთან. "24 საათი" გუშინ ამ თემაზე გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს დავით ინგოროყვას ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ რვა კვირაში კორპორაციამ, BP-ს დახმარებით, სამუშაო გეგმის ახალი პაკეტის დადება მოახერხა, რომელსაც პროფესიონალებმა უნაკლო უწოდეს.

**- ამ სამუშაოებში კონკრეტულად რა როლი მიუძღვის BP-ს და რა დასკვნა დაიდო მილის მდგომარეობასთან დაკავშირებით?**

- BP-ს ექსპერტებმა ადგილობრივ კადრებს ტრენინგები ჩაუტარეს. ამის შემდეგ ერთობლივი ძალებით შეიქმნა გეგმა, რომელიც მომავალი 6 თვის განმავლობაში ჩასატარებელი სამუშაოების კონკრეტულ პაკეტს წარმოადგენს. ეს არის მილსადენზე დაგეგმარების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესი, არსებული დაზიანებებისა და პრობლემების სრული ნუსხა, კვლევის მეთოდოლოგია, გარემოს დაცვის ზემოქმედების შედეგი. შექმნილია კონკრეტული ცხრილები, თუ ვინ, სად და რა სამუშაოებს განახორციელებს დროის კონკრეტულ ვადებში. ამ ანალიზის საფუძველზე ჩრდილო-დასავლეთის დერეფანზე 275 დაზიანებაა აღმოჩენილი და უკვე წინასწარი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილ რუკაზეც არის აღნიშნული.

**- ეს თანხა კორპორაციამ უნდა აითვისოს?**

- დღეს ყველას რატომღაც ჰგონია, რომ ამ ფულის მიმღები კორპორაციაა. აღნიშნული თანხის გამოყოფის შემდგომ თანხის ათვისება "ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" მიერ დაქირავებული სამშენებლო კომპანიების მიერ მოხდება, რომელიც ცენტრის საფუძველზე შეირჩევა. კორპორაციაში ჩამოყალიბებული გუნდი კი სარეაბილიტაციო სამუშაოებს გააკონტროლებს და იმ მონაკვეთებს მიუთითებს, სადაც აღდგენითი სამუშაოების განხორციელება აუცილებელია.

**- რა მიზნით ჩამოვიდა ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი კორპორაციაში?**

- კონგრესის თანამშრომლების ეს ჯგუფი "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" მონაწილე ყველა ქვეყანას ეწვევა. საქართველოდან ისინი სომხეთში გაემგზავრნენ. მათი ვიზიტის მთავარ მიზანს ქვეყნებში განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების შეფასება გახლდათ. ვიზიტის ფარგლებში ჯგუფის წევრები ადგილზე გაეცნენ მილსადენის რეალურ მდგომარეობას. ჩვენი მხრიდან უნდა დაგვერწმუნებინა ამერიკული მხარე, თუ აღნიშნული პროექტის განხორციელება ქვეყანაში სიღარიბის დაძლევასა და ეკონომიკურ განვითარებას რამდენად უწყობს ხელს. მართალია, მაგისტრალური მილსადენს პირდაპირ ვერ დავუკავშირებთ სიღარიბის დაძლევას, მაგრამ ფაქტია, რომ მდგრადი ენერგეტიკის გარეშე ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა არ არსებობს. თუ მაგისტრალური მილსადენი არსებულ მდგომარეობაში დარჩება, მისი არამდგრადობა ქვეყნის ბუნებრივი აირის გარეშე დატოვების საშიშროებას ქმნის. როდესაც მილსადენის მოქმედების გარანტიები არსებობს, ინვესტორსაც უადვილდება საქმიანობის დაწყება. მილსადენის მდგრადობა მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის გამომუშავების მიზნითაც. საქართველოში ამუშავდება 3 დამატებითი ენერგობლოკი, რომელიც დიდი რაოდენობის ბუნებრივ აირს მოიხმარს. მილსადენების გაუმართაობის შემთხვევაში, უწყვეტი გაზმომარაგებაც ვერ იარსებებს. შესაბამისად, საფრთხე ექმნება ქვეყნის ენერგომომარაგებას. ყველაფერი ეს კი ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ახდენს.

# ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს ბრალდებები წაუყენეს

*პარადოქსია, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელ რექტორთაგან სამართალდამცველები მას მიადგნენ, ვის მიმართაც პრეტენზიები აქამდე ყველაზე ნაკლებად, შეიძლება ითქვას, არც არასდროს გამოთქმულა. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე არაერთი კამპანია აგორებულა როინ მეტრეველის, რამაზ ხეცურიანისა თუ სხვა ყოფილი რექტორების მიმართ და ამ კამპანიის ფარგლებში ისინი არაერთ, თითქმის კრიმინალურ ქმედებაში დაუდანაშაულებიათ, სამართალდამცველთა ხელში ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი იური მოსიძე აღმოჩნდა.*

ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს იური მოსიძეს ბრალდებები უკვე წაუყენეს.

გუშინ ქალაქის პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ მოსიძეს ბრალი სხვისი ქონების თაღლითური გზით მითვისებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლებით წაუყენეს.

ღვინიაშვილის თქმით, გამოძიებით დადგინდა, რომ იური მოსიძემ 300 ათასი ლარი არამიზნობრივად გახარჯა და, ამავდროულად, ამ თანხის ნაწილი მიითვისა.

ბრალდების თანახმად, 2000 წელს იური მოსიძემ საკუთარი ინიციატივით, ერთ-ერთ კერძო პირთან ხელშეკრულება გააფორმა ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში, ზღვის სანაპიროზე მდებარე 10 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის შესყიდვის თაობაზე.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, ამ ნაკვეთზე სხვადასხვა სახის სამუშაოების (წყალგაყვანილობები და ა.შ.) შესრულება უნდა განხორციელებულიყო.

როგორც პროკურატურაში განმარტეს, იური მოსიძემ აღნიშნული სამუშაოები არ შეასრულა და თანხა მიითვისა. გარდა ამისა, ბრალდების თანახმად, მოსიძემ, საკადასტრო რუკის გაყალბებით, ხელოვნურად შეამცირა მიწის ნაკვეთი და 10 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობის ნაცვლად, 8 ათასი კვადრატული მეტრი დააფიქსირა, 2 ათასი კვადრატული მეტრი და აღნიშნული ფართობისთვის გამოყოფილი თანხა კი მიითვისა. გარდა ამისა, მითვისებულ მიწის ფართობზე იური მოსიძემ საცხოვრებელი სახლი ააშენა, რომელიც მის სიძეზეა გაფორმებული.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, 2001 წელს იური მოსიძემ ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერისტეტის სამეცნიერო საბჭოს გვერდის ავლით, 80 ათასი ლარი არამიზნობრივად გახარჯა.

გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ქალაქის პროკურატურა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას მიმართავს შუამდგომლობით, რათა უცხო ენათა უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს აღმკვეთი ღონისძიების სახით 300 ათასი ლარის ოდენობით გირაოს გადახდა შეეფარდოს. **24 საათი**

# ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ქართული მხარის კეთილი ნებისა და მშვიდობიანი მოწოდებისა, ამას ოსური მხრიდან ადეკვატური რეაქცია არ მოჰყოლია. პირიქით, შეიარაღებულმა ფორმირებებმა ქართულ სოფლებთან დამაკავშირებელი გზები გადაკეტეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას მიერ საკონტროლო კომისიის სხდომის ჩატარების მოთხოვნისა. სახელმწიფო მინისტრის წერილში ნახსენებია 19 აგვისტოს ფრონეს ხეობაში, სოფელ ნულიდან გატაცებული 11 წლის გენო პეტრიაშვილი, რომელიც უცნობმა პირებმა ოსური მხარის მიერ კონტროლირებად უბიათა-გვერთევის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

**"ოსური მხარე ქართველ სამართალდამცველებს არ აწვდის ინფორმაციას გატაცებული ბავშვის შესაძლო ადგილსამყოფელისა და გამტაცებელი პირების შესახებ. ეს ყველაფერი სამშვიდობო პროცესს აფერხებს,"** - ნათქვამია გიორგი ხაინდრავას განცხადებაში.

სახელმწიფო მინისტრი უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს რეგიონში შექმნილი ვითარების გამო და გმობს რუსული მხარის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებას, რომელიც სამშვიდობო ძალების უმოქმედობის გამართლებისკენ არის მიმართული.

გიორგი ხაინდრავა საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, გამოიყენონ თავიანთი ავტორიტეტი, ადამიანთა გატაცების ფაქტების გამოძიებაში უფრო აქტიურად ჩაებან და ოსური მხარისგან აქტიური თანამშრომლობა ღიად მოითხოვონ.

**"მომავალში ადამიანთა გატაცებები აღარ უნდა დავუშვათ და კონფლიქტის ზონა გამტაცებლებისა და კრიმინალების თავშესაფრად არ უნდა ვაქციოთ,"** - ნათქვამია წერილში. გიორგი ხაინდრავა შენიშნავს, რომ სამშვიდობო ძალების ვალდებულებაა, რეგიონში სტაბილურობა შეინარჩუნონ და სამშვიდობო პროცესის განვითარებას ხელი შეუწყონ. რუსულმა მხარემ სამშვიდობო ძალების ქმედითუნარიანობა რიტორიკით კი არა, კონკრეტული შედეგების მიხედვით უნდა ამტკიცოს.

**"სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონის როგორც ქართული, ისე ოსური ეროვნების მოსახლეობის ნდობით უნდა სარგებლობდნენ,"** - აღნიშნავს გოგა ხაინდრავა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რუსეთს ურჩევს, **"კონკრეტული ქმედებით, და არა რიტორიკით, დაამტკიცოს მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის მნიშვნელობა".** რუსი მშვიდობისმყოფელების რეალურ საქმიანობაზე საუბარი ცალკე თემაა, თუმცა, როგორც ჩანს, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების უკიდურესად გამწვავების უარყოფას არც რუსული მხარე აპირებს. შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის სასწრაფოდ მოწვევის აუცილებლობაზე საუბრობს კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე, რუსეთის საგარეო უწყების საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინიც. მისი თქმით, მხარეებთან უკვე მიმდინარეობს მუშაობა, რათა საკონტროლო კომისიის სხდომის ჩატარების დრო და ადგილი დაზუსტდეს. ამდენად, ჩატარდება თუ არა სხდომა 2 სექტემბერს თბილისში, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი.

**24 საათი**

# ქართველები ბელორუსიდან დეპორტაციის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი ლევან რამიშვილი აცხადებს, რომ ქართველების მინსკში დაკავება მოსალოდნელი იყო. **"ამ ფაქტს პოლიტიკური სარჩული აქვს და ლუკაშენკოს რეჟიმის პირობებში სავსებით ბუნებრივია",** - აღნიშნა მან.

მისი თქმით, ქართველ "კმარელებს" აქტიური ურთიერთობა აქვთ ბელარუსის დემოკრატიულ ძალებთან და თანამშრომლობენ მათთან. **"ისე, როგორც სხვადასხვა ქვეყნის ავტორიტარული რეჟიმები უჭერენ ერთმანეთს მხარს, ასევე დემოკრატიული ძალებიც ერთად უნდა იყვნენ,"** - აღნიშნავს რამიშვილი.

გუშინვე პრესრელიზი გაავრცელა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, სადაც აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ქართველი მოქალაქეების დაკავების მომენტიდანვე დაინტერესდა მათი ბედით. იგი დაუკავშირდა ვლადიმერ კობეცს და ბელარუს ჟურნალისტს, ასევე ბელარუსის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამავე სამინისტროს იმ სამმართველოს წარმომადგენლებს, რომლებმაც უშუალოდ დააკავეს გიორგი კანდელაკი და ლუკა წულაძე.

როგორც პრესრელიზშია აღნიშნული, ამჟამად ორივე დაკავებული მინსკის საემიგრაციო სამსახურის განყოფილებაშია. "კმარელები" მინსკში 16 აგვისტოს ორგანიზაცია "ზუბრის" მიწვევით გაემგზავრნენ. **24 საათი**

# ჭუბურხინჯში მხარეებმა კრიმინოგენულ ვითარებაზე ისაუბრეს

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, ქართულმა მხარემ მოითხოვა სოფელ ფიჩორიდან გატაცებული კვაშილავას ადგილსამყოფელის დადგენა. აფხაზური მხარე, მართალია, ადასტურებს, რომ კვაშილავა გატაცებულია საკუთარი სახლიდან, თუმცა ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მისი ადგილსამყოფელი მათთვის უცნობია, რადგან კვაშილავა გაიტაცა იმ ჯგუფმა, რომელსაც ისინი ვერ აკონტროლებენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობა გუშინ პირველად მიიღო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა მისიის ახალმა ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა ნიაზ ხან ხატაკმა.

მისიის ხელმძღვანლის მოვალეობის შესრულებას ნიაზ ხან ხატაკი 11 აგვისტოს შეუდგა. ამ პოსტზე დანიშვნამდე, გენერალ-მაიორი პაკისტანში ქვეით დივიზიას მეთაურობდა. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა მან პოლკოვნიკის წოდებით 1995 წლიდან დაიწყო.

ნიაზ ხან ხატაკი სამხედრო მეცნიერებათა ბაკალავრი და ლონდონის სამეფო უნივერსიტეტის, ისლამაბადისა და კუიტ აზამის უნივერსიტეტების მაგისტრია.

ხატაკის დანიშვნამდე, აფხაზეთში გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა მისიას ეგვიპტელი გენერალი ჰუსეინ კობაში ხელმძღვანელობდა. გაერო-ს სამხედრო დამკვირებელთა მისია აფხაზეთში, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით, 1993 წლის აგვისტოდან მოქმედებს.

**24 საათი**

# დღეს დაგეგმილი აუქციონი არ გაიმართება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დღეს დაგეგმილი აუქციონი არ შედგება. სამინისტროს დღეს აუქციონზე გასაყიდად 3 ობიექტი უნდა გამოეტანა, მაგრამ ობიექტების შესყიდვით არავინ დაინტერესებულა და, შესაბამისად, სამინისტროში განცხადებები არ შეუტანია, რის გამოც აუქციონი აღარ გაიმართება. აუქციონზე დღეს გასაყიდად ალექსეევკას დასახლებაში მდებარე შპს "ძეგლი" უნდა გამოეტანათ, რომლის საწყისი ფასი 500 000 დოლარით იყო განსაზღვრული. ასევე თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ტირის და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ობიექტი გურამიშვილის გამზირზე მდებარეობს და მისი საწყისი ფასი 20 000 დოლარს შეადგენდა. კონკურსის წესით უნდა გაყიდულიყო ს/ს "ქუთაისის ტროლეიბუსების საწარმო", რომლის საწყისი ფასი 250 000 დოლარს შეადგენდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ერაყის კონსტიტუციაზე შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს



*"ყველას მოგიწოდებთ მშვიდობისკენ. ნუ გამოხვალთ ქუჩებში".*

*ერაყის პარლამენტისთვის ახალი კონსტიტუციის ტექსტის წარდგენის ვადა გუშინ ამოიწურა. ძირითადი საკითხი, რომელზეც შიიტები და სუნიტები ვერ შეთანხმდნენ, ქვეყნის ფედერალური მოწყობაა.*

თიკო მაჭარაშვილი

ერაყის პარლამენტისთვის ახალი კონსტიტუციის წარდგენის თარიღი უკვე ორჯერ გადაიდო, რადგან სუნიტებსა და შიიტებს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიც არის ფედერალიზმი, ნავთობის საბადოების გადანაწილება და რეგიონთაშორისი ურთიერთობები.

შიიტებსა და სუნიტებს შორის დაპირისპირებამ უკვე ქუჩებშიც გადაინაცვლა. გუშინ დილით ცეცხლი წაუკიდეს რადიკალი შიიტის მოქთადა ას-სადრის სახლს. შეტაკებებისას შვიდი ადამიანი დაიღუპა და 13 მძიმედ დაშავდა.

საგულისხმოა, რომ რადიკალმა შიიტმა სადრმა ერაყის მოსახლეობას მშვიდობისკენ მოუწოდა. **"ყველას მოგიწოდებთ მშვიდობისკენ. ჩვენ, მუსლიმები ერთმანეთს არ უნდა ვებრძოლოთ, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია, მშვიდად შეხვდე ნაჯაფში სახლის დაწვას. რადგან ჩვენი ქვეყანა დღეს კრიტიკულ ფაზაში იმყოფება, ყველას მოგიწოდებთ, ნუ გამოხვალთ ქუჩებში,"** - განაცხადა მოქთადა ას-სადრმა.

ერაყის მრავალ ქალაქში მომხდარმა შეტაკებებმა გარკვეული ზეგავლენა იქონია პოლიტიკოსებზე, რომლებიც გუშინ შიიტების მიერ შედგენილი ახალი კონსტიტუციის დასამტკიცებლად ემზადებოდნენ და ვიდრე ტექსტს ერაყის პარლამენტს წარუდგენდნენ, ბაღდადში პოლიტიკოსებს შორის კვლავ გაიმართა კონსულტაციები, თუმცა უშედეგოდ.

სუნიტებმა ფედერალიზმთან მიმართებაში პოზიცია არ შეცვალეს. **"ჩვენ არ გვინდა ფედერალური ერაყი, კომპრომისზე მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალთ, თუ კონსტიტუციაში ხაზგასმული იქნება "ერთიანი ქვეყნის დაყოფის აკრძალვა"**, - განაცხადა სალე მოთლაქმა, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა შიიტებთან.

არაბმა სუნიტებმა მოუწოდეს აშშ-სა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეეჩერებინათ ერაყის პარლამენტისთვის შიიტების მიერ ახალი კონსტიტუციის წარდგენა, რომელიც არ არის შეთანხმებული სუნიტებთან.

სააგენტო "ფრანს პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პენტაგონი ერაყში კიდევ ორი ახალი ბატალიონის გაგზავნას გეგმავს, რათა არჩევნებიდან ორი თვით ადრე ქვეყანაში უსაფრთხოების დაცვა გააძლიეროს.

ჩრდილოეთ კალიფორნიიდან დაბრუნებული 82-ე დივიზიის 1500 ამერიკელი ჯარისკაცი ერაყში, ქვეყნის კონსტიტუციასთან დაკავშირებით 15 ოქტომბერს დაგეგმილი რეფერენდუმის ჩატარებამდე, გაიგზავნება. საჯარისო ნაწილები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩებიან.

"საერთაშორისო ძალების" მიერ ერაყში გაგზავნილი ამერიკელი ჯარისკაცები რეგიონში მყოფ 138 ათას ამერიკელ სამხედრო პირს შეუერთდებიან და შეეძლებათ, 120 დღით დარჩნენ.

სსიფ
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის სოფელ არალის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის სოფელ არალის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სოფელ არალის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი,**
**სოფელ არალის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:რომან აფრიამაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 30 აგვისტოდან,** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) **10-დან 18 საათამდე.** საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო ადიგენის რაიონი,**
**სოფელ არალის გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი:რომან აფრიამაშვილი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 28 სექტემბერს 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ახალი „საერთო ეკონომიკური სივრცე"

*უკრაინა მზად არის რუსეთთან, ყაზახეთსა და ბელორუსთან ერთად შევიდეს ახალ "საერთო ეკონომიკურ სივრცეში".*

ხათუნა ბაბიევი

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ოფიციალურად განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთთან, ყაზახეთსა და ბელორუსთან ერთად ახალი "საერთო ეკონომიკური სივრცის" გეგმას განიხილავს 26-27 აგვისტოს ყაზანში დაგეგმილ დსთ-ს ლიდერთა სამიტზე.

მოსკოვში ვიზიტისას უკრაინის ეკონომიკის მინისტრმა სერგეი ტერიოხინმა აღნიშნა, რომ უკრაინა მზად არის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ორ სახელმწიფოსთან ერთად ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობა დაამყაროს რუსეთთან.

შეგახსენებთ, რომ იალტაში (უკრაინის სამხრეთი) რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა და ბელორუსმა 2003 წლის სექტემბერში "საერთო ეკონომიკური სივრცის" შექმნის შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად მოაწერა ხელი.

პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს თქმით, უკრაინამ, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს დსთ-ს ქვეყნებთან, უნდა შეიმუშავოს დასავლეთისკენ მიმართული ახალი მექანიზმი, რათა ყველანაირი წინაპირობა შექმნას, უკრაინა ევროკავშირის წევრი რომ გახდეს.

უკრაინის პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ ახალ "საერთო ეკონომიკურ სივრცეში" გაწევრიანება უკრაინას ევროკავშირში შესვლაში ხელს არ შეუშლის. ვიქტორ იუშენკო მიიჩნევს, რომ უკრაინისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება.



*ვიქტორ იუშჩენკო რუსეთთან, ბელორუსსა და ყაზახეთთან ერთად საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის პერსპექტივაზე საუბრობს.*

უკრაინა 26-27 აგვისტოს ყაზანში დაგეგმილ დსთ-ს ლიდერთა სამიტში მიიღებს მონაწილეობას. აღნიშნულ სამიტზე განიხილავენ "ახალი საერთო ეკონომიკური სივრცის" პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა არ მოიწონა მოსკოვში დსთ-ს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე უკრაინის მიერ შეთავაზებული საკითხები, ყაზანის სამიტზე ოფიციალური კიევი დსთ-ს ლიდერებს წარუდგენს 10 შეთავაზებას, რომლებიც ძირითადად დსთ-ს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესებას შეეხება.

# აფეთქება ნაზრანში - დაჭრილია ინგუშეთის პრემიერ-მინისტრი

ნაზრანის ცენტრში გუშინ მომხდარი აფეთქებების შედეგად ინგუშეთის პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ მალსაგოვი დაიჭრა. სააგენტო "იტარ-ტას"-ის ინფორმაციით, პრემიერი მძიმედაა დაჭრილი და საავადმყოფოში მიყვანისას რამდენჯერმე დაკარგა გონება. მოგვიანებით პრესისათვის გაკეთებულ განცხადებებში ექიმებმა დაჭრილი პრემიერის მდგომარეობას უკვე სტაბილური უწოდეს.

**"იბრაჰიმ მასლაგოვი ბომბის ნამსხვრევებით მარჯვენა ხელის მტევანსა და წვივშია დაჭრილი, რაც სიცოცხლისთვის სახიფათო არაა,"** - აღნიშნეს ექიმებმა სააგენტო "ინტერფაქს"-თან საუბარში.

ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ბესლან ხამხოევის განცხადებით, ქალაქის ცენტრში ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა 10 წამიანი ინტერვალით ამოქმედდა. რუსული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ცნობებით, აფეთქებისას 4 ადამიანი დაიჭრა, ხოლო პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის ერთ-ერთი წევრი ადგილზევე გარდაიცვალა. პირველი



*აფეთქებები მაშინ განხორციელდა, როდესაც გზის იმ მონაკვეთზე ინგუშეთის პრემიერ-მინისტრის მანქანა გამოჩნდა.*

ბომბი იმ გზის ნაპირზე აფეთქდა, სადაც მასლაგოვის მანქანა მიდიოდა, რამდენიმე წამში კი უფრო ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა.

ხამხოევი აფეთქებებს 2004 წლის აპრილში ინგუშეთის პრეზიდენტზე მურატ ზიაზიკოვზე განხორციელებულ თავდასხმებს უკავშირებს. მისი თქმით, ამ მოვლენების უკან ის ძალები დგანან, რომლებსაც რესპუბლიკაში მიმდინარე დადებითი პროცესები ხელს არ აძლევს და ყველანაირი საშუალებით ცდილობენ მათ შეფერხებას.

ადგილობრივი სამართალდამცველები უკვე ასაფეთქებელი ნივთიერების ზუსტ რაოდენობასაც ასახელებენ. ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინდელი აფეთქებები დისტანციური მართვის მოწყობილობით, დაახლოებით, 1-1.5 კგ ტროტილით განხორციელდა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა და რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მეხუთე მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

# ევროპა სტიქიას ებრძვის

### ატლანტიკური ციკლონი თუ ტროპიკული მუსონი

ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში ჯერ კიდევ გრძელდება სამაშველო ოპერაციები. გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის, რუმინეთის, ბულგარეთის, მოლდოვისა და სლოვენიის ტერიტორიების დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული. წყალდიდობის მიზეზი გადაუღებელი, კოკისპირული წვიმებია. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში გუშინ მოსული ნალექის რაოდენობა შედარებით ნაკლები იყო, სინოპტიკოსები ოპტიმისტური პროგნოზებისაგან მაინც თავს იკავებენ. ევროპის მეტეოროლოგიური სამსახურების ცნობებით, კვლავ მოსალოდნელია ნალექის რაოდენობის ზრდა.

წყალდიდობის მსხვერპლთა რაოდენობა, რაც ათეულობით ადამიანით განისაზღვრება, დღითიდღე იზრდება. ევროპულ სახელმწიფოთაგან, რომლებიც უკვე რამდენიმე დღეა სტიქიის შეტევას ებრძვიან, ყველაზე მეტად რუმინეთი დაზარალდა, სადაც 1400 სახლი მთლიანად წყლით დაიფარა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა. წყალიდობის შედეგად რუმინეთში 25 კაცი დაიღუპა.

11 ადამიანი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად შვეიცარიაში. მაშველთა ბრიგადები შვეიცარიაში, ავსტრიასა და გერმანიაში ახლაც ცდილობენ კომუნიკაციის საშუალებების აღდგენას. შვეიცარიის დედაქალაქში ბევრი შენობების სახურავებზე აძვრა და ვერტმფრენების მეშვეობით იქიდან ხდება მათი ევაკუაცია. უსაფრთხოების მიზნით მაშველები არ იყენებენ ნავებს, რადგან ბერნის ქუჩებში წყლის დონემ უკვე გადააჭარბა მანქანების სიმაღლეს. სრულიადაა პარალიზებული სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა; გარე სამყაროსაა მოწყვეტილი შვეიცარიული კანტონების მრავალი სოფელი.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა სხვა ზემოაღნიშნული ევროპული სახელმწიფოების რიგ რაიონებში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავარიაში რამდენიმე შენობამ ვერ გაუძლო წყლის სიმძლავრეს და დაინგრა; ბულგარეთში 14 000 მოქალაქე თავშესაფრის გარეშე დარჩა; მოლდოვაში კიშინიოვის მახლობლად მრავალი შენობა სერიოზულად დაზიანდა; სლოვენიაში კი კოკისპირულმა წვიმებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ რაიონების გზატკეცილების დიდი ნაწილი გაანადგურა.



როგორც გავლენიანი გერმანული გაზეთი "ველტი" წერს, ატლანტიკური ციკლონები გერმანიისათვის იშვიათობას არ წარმოადგენს, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება ევროპის ამ ნაწილში, უფრო ტროპიკულ მუსონს ჰგავს. კიდევ უფრო შორს მიდის "ზიუდდოიჩე ცაიტუნგი", რომელიც მეცნიერთა ვარაუდებს იშველიებს და წერს, რომ წყალდიდობა გერმანიაში სტიქიური უბედურებების მხოლოდ დასაწყისია, რასაც მომავალში ხანგრძლივი გვალვა მოჰყვება. ზოგადად კი, გერმანული მედია ერთსულოვან დასკვნამდე მიდის, კერძოდ, კლიმატური ცვლილებების ასეთი უკიდურესი ცვალებადობა უფრო ურბანიზაციის შედეგია.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უამინდობამ ევროპაში დადებითი შედეგებიც მოიტანა, სწორედ გადაუღებელი წვიმების მეშვეობით გახდა შესაძლებელი პორტუგალიაში ტყეებში გაჩენილი მასშტაბური ხანძრების ჩაქრობა. **24 საათი**

# ირანი "ევროსამეულს" ადანაშაულებს

ხათუნა ბაბიევი

ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ გაჭიანურებული მოლაპარაკებების ფონზე, ისლამური რესპუბლიკის საგარეო უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ჰამიდ რეზა ასეფი "ევროსამეულის" მისამართით ბრალდებებით გამოდის. მისი თქმით, პარიზის შეთანხმების დარღვევაში ბრალი მხოლოდ დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას მიუძღვის, რომლებმაც არ ისურვეს არც ირანის უფლებების გათვალისწინება და არც მყარი გარანტიების გაცემა.

**"ევროპულმა მხარემ უკვე არაერთხელ მოითხოვა ჩვენგან ისფაჰანის ბირთვულ ცენტრში მიმდინარე სამუშაოების შეწყვეტა. მათი თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი 31 აგვისტოს დაგეგმილ მოლაპარაკებათა რეალურობაზე საუბარი, რასაც ჩვენ ვერაფრით დავეთანხმებით. მოლაპარაკებების თვითმიზანი ისევ მოლაპარაკებების გაგრძელება არ უნდა იყოს - მას აუცილებლად უნდა მოსდევდეს რეალური შედეგები,"** - განაცხადა ასეფიმ.

პრობლემის მოლაპარაკებათა გზით გადაჭრისათვის აუცილებელია ოფიციალური თეირანის ინტერესების გათვალისწინებაც და არ უნდა ხდებოდეს ევროპული სამეულის მხრიდან ცალმხრივი წინაპირობების წამოყენება, მით უმეტეს, როდესაც ისფაჰანის ცენტრის ამოქმედებით პარიზის შეთანხმების მუხლების დარღვევა



*მოლაპარაკებების თვითმიზანი ისევ მოლაპარაკებების გაგრძელება არ უნდა იყოს.*

არ ხდება, აღნიშნავს ირანელი დიპლომატი.

რაც შეეხება თავად ევროპული მხარის დამოკიდებულებას 31 აგვისტოს დაგეგმილი შეხვედრისადმი - ფრანგული მხარის განცხადებით, მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, არ განახლდება.

საფრანგეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის, ჟან-ბატისტ მატეის თქმით, "ევროპულმა სამეულმა" მოლაპარაკებების აღდგენაზე უარის თქმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ირანმა ისფაჰანის ცენტრში ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობა განაახლა. **"თუმცა, მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის ჩავარდნა ირანთან ურთიერთობების საერთოდ გაწყვეტას არ ნიშნავს,"** - აღნიშნავს ფრანგი დიპლომატი.

# როგორ ვიმოგზაურე 60-იან წლებში

პირველი გვერდიდან

მიუნხენის გრამფირფიტების მაღაზიაში, ქართველი სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი, ჩამოფასებული საქონლის დახლს მივადექი. ჩემდა გასაოცრად, პირველსავე თაროზე ნაცნობ სახელებს წავაწყდი: The Beatles with Tony Sheridan (early tapes of the beatles). ჩემ წარმოსახვაში ტონი შერიდანი ყოველთვის იდუმალებით მოცულ ხელოვანად ასოცირდებოდა, რომლის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება ლივერპულელი ოთხეულის (თუმცა, "ბითლზის" პირველი შემადგენლობა ჰამბურგში 5-კაციანი იყო) ისტორიის დასაწყისი გერმანიის ქალაქ ჰამბურგში და რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კვარტეტის შემოქმედებით ზრდასა და განვითარებაში. ფირფიტამ ბავშვობის კოლექცია გამახსენა...

მოგვიანებით, 2000 წლის სექტემბერში, წითელი ღვინისა და სიგარეტის თანხლებით ფილმის სცენარზე ვმუშაობდი. არ ვიცი, ბახუსი მომერია თუ ჩემში სკოლის მოსწავლემ გაიღვიძა, მაგრამ ფაქტია, რომ აზრი "გამებნა" და სულ სხვა თემაზე დავიწყე ფიქრი... თავი კვლავ "ბითლომანიამ" შემახსენა (ჯერ კიდევ თბილისში მქონდა ჰამბურგის იმ ბარებისა და ქუჩების ვიდეოკამერით გადაღების სურვილი, სადაც "ბითლზის" წარმატებას ჩაეყარა საფუძველი. ეს ჟინი ტელერეჟისორ დათო არჩვაძესთან სატელეფონო საუბარმა კიდევ უფრო გამიმძაფრა, მაგრამ "მედლე-ხვალიე" იმერელი კაცის ამბავი კარგად მოგეხსენებათ და ამიტომაც ამ ოცნების ასრულება გაურკვეველი ვადით გადავდე). ცნობათა ბიუროს დახმარებით ჰამბურგის 60-იანი წლების პოპულარული დისკოთეკის ტელეფონის ნომერი დავადგინე... კვალმა "ბითლზის" ცნობილი ფოტოგრაფის, ასტრიდ კირხერის აგენტამდე მიმიყვანა... მან დიდი ყურადღებით მომისმინა და შეიტყო რა ჩემი განზრახვის შესახებ, შემომთავაზა ტონი შერიდანთან დაკავშირება... მოულოდნელობისგან გაოცებულმა და ხმაწართმეულმა სახელი და გვარი კითხვით "გადავამოწმე": "ტონი შერიდანი?!", რაზეც ჩემ თანამოსაუბრეს გაეღიმა და მთხოვა, "ინფორმატორის" ვინაობა საიდუმლოდ დაგვეტოვებინა...

გავიდა 1 დღე... მქონდა შერიდანის ტელეფონის ნომერი და მეტი არაფერი... არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. არადა, სრულიად მარტივად, ასე ვთქვათ "დიდი თევზი" სანახევროდ უკვე დაჭერილი მყავდა. თუმცა, ამაზე ფიქრი სამომავლოდ გადავდე. იმ წუთებში ჩემთვის მთავარი, შერიდანის გაცნობა იყო. სასაუბროდ ვემზადებოდი და "მოთელვას" გავდიოდი. დადებითმა ემოციებმა დამმუხტა. ტელეფონის ყურმილი ავიღე. შევეცადე, სწრაფად მომეხდინა შთაბეჭდილება დიდ ხელოვანზე, რომლის მუსიკამაც მთელი ცხოვრების მანძილზე ბევრი რამ, მათ შორის ბევრი ლამაზი მოგონება შემძინა. პირველმა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა: შერიდანმა საუბარზე უარი განმიცხადა. განცდებისგან სხეულში სიცივემ დამიარა. ჩავთვალე, რომ ადამიანი, რომლის პირადად გაცნობაც, განსაკუთრებით ბოლო დღეებში იდეაფიქსად გადამექცა, ასე ერთი ხელის მოსმით დავკარგე. ვიდრე ემოციები გამინელდებოდა, იგივე ნომერი ხელმეორედ ავკრიფე. მუსიკოსს მობილური ტელეფონი უკვე გამორთული ჰქონდა. ჩემი მაგნიტოფონიდან დაბალ ხმაზე ლეგენდარული My Bonnie ისმოდა. იძულებული გავხდი, ჩემი ემოციები და ტონისთან საქმიანი შეხვედრის სურვილი "ცივი" ავტომოპასუხისთვის გამენდო. ამასთანავე, ყოველი შემთხვევისთვის დავტოვე ჩემი ტელეფონის ნომერი... გავიდა 2 დღე... შერიდანის დუმილმა ჰამბურგში წასვლა ვერ გადამაფიქრებინა... თუმცა, ვაღიარებ, რომ გულდაწყვეტილი ვემზადებოდი სამოგზაუროდ. კინორეჟისორ გიგა ჩხეიძესთან ვიდეოკამერის ტექნიკურ შესაძლებლობებს ვამოწმებდი... გაისმა ტელეფონის ზარი: "Hello, Tony Sheridan is here!" ბევრი ფიქრისა და გაკვირვების დრო აღარ იყო. მან ისტორიულ "სთარ-კლუბში" ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა და ინტერვიუს ჩაწერაზეც დამთანხმდა. გიგამ ჩვენი დიალოგი ვიდეოფირზე აღბეჭდა, რაც მოგვიანებით ჩემი ფილმის პირველ, შესავალ კადრად გამოვიყენე.

გერმანიის საპორტო ქალაქში 22 სექტემბერს ჩავედი...გადაღების ადგილის დასათვალიერებლად რეპერბანის (ჰამბურგის ცენტრი) გზას გავუყევი. ბარის მფლობელმა ქალბატონმა ერთ-ერთ სტუმარზე მიმანიშნა: მაგიდასთან 60-იანი წლების "სთარ-კლუბის" დი-ჯეი "პიკო" იჯდა, რომელიც თურმე წელიწადში ერთხელ შეივლის ხოლმე ნოსტალგიურ დაწესებულებაში; და ეს ერთი დღე, ჩემდა სასიხარულოდ, სწორედ 22 სექტემბერი აღმოჩნდა. დიდ ბედნიერებას მანიჭებდა ადამიანის მოსმენა, რომელიც "სთარ-კლუბის" პირველი სახით არსებობის განმავლობაში (1962-1969) უშუალო მომსწრე იყო გარემოსი, რომელსაც რეი ჩარლზი, ფეტს დომინო, როი ორბისონი, ლითლ რიჩარდი, ბადი ჰოლი, "ბითლზი" და ტონი შერიდანი ქმნიდნენ. ჩემი "მოგზაურობა" 60-იან წლებში დაიწყო.

23 სექტემბერი გათენდა. დათქმულ ადგილზე ტონისთან შეხვედრამდე 3 საათით ადრე მივედი. ვიდრე ბარი გაიხსნებოდა, "სთარ-კლუბის" ისტორიული ეზო დავათვალიერე, რომელიც ტურისტული ჯგუფების საექსკურსიო პროგრამაშია შეტანილი. მემორიალურ ქვაზე, რომელიც 60-იანელების ინიციატივითა და შემოწირულობებით დაიდგა, ყველა იმ მუსიკოსისა თუ როკ-ჯგუფის სახელია ამოტვიფრული, ვინც ამ პატარა, "იტალიურ ეზოს" სახელი გაუთქვა... მე კვლავ ვღელავდი. ველოდებოდი ადამიანს, რომლის გვარიც და მუსიკაც ბავშვობიდან მესმოდა, მაგრამ მის გარეგნობაზე წარმოდგენა არ მქონდა (მისი ხმის ტემბრის მიხედვით მეგონა, რომ შერიდანი ბევრად უფროსი იყო ლივერპულელებზე, მაგრამ ამაშიც შევცდი)...

19.00 საათზე, ნახევრად ჩაბნელებულ "სთარ-კლუბში" კეპიანმა, სპორტული აღნაგობის სიმპათიურმა, ჭაღარა "ბიძამ" ახალგაზრდულად შემოაბიჯა. ჩემ წინ ტონი შერიდანი იდგა...

### ტონი შერიდანი

ირლანდიური წარმოშობის 60-იანი წლების დიდი მუსიკოსი ენთონი ესმონდ შერიდან მაქგინითი ("My Bonnie", "What`d I say", "Skinny Minny") 1940 წლის 21 მაისს, აღმოსავლეთ ინგლისის პროვინციულ ქალაქ ნორვიჩში დაიბადა. ნაომარ ქალაქში ამერიკელი სამხედროები იყვნენ დაბანაკებულნი, რომლებიც ინგლისურ ოჯახებს ხშირად სტუმრობდნენ ადგილობრივი გოგონების ახლოს გაცნობის მიზნით. 5 წლის შერიდანმა სწორედ მაშინ გასინჯა პირველი სალეჭი რეზინი და გლენ მილერის ჯაზურ მუსიკას ეზიარა:

**"ლივერპულში ომისა და სავაჭრო გემების გავლენა იგრძნობოდა, ჩემი შთაბეჭდილებები და მისწრაფება, კი, ამერიკელმა ჯარისკაცებმა განსაზღვრეს. დედაჩემი ვერაფრით ახერხებდა მათი გავლენისგან ჩემს იზოლირებას. მე მათით მოჯადოვებული ვიყავი: ისინი განსხვავებულ უნიფორმებს ატარებდნენ, მათი ენა ჰამფრი ბოგარტისას ჰგავდა და ჩვეულებრივზე უფრო სასიამოვნოდ ჟღერდა. ისინი ძალიან კარგად გამოიყურებოდნენ და სიარულის ბევრად უკეთესი მანერა ჰქონდათ".**

როგორც თვითონ ამბობს, უსაქმურობისთვის თავის დასაღწევად, ხელოვნების სკოლაში დაიწყო სწავლა, რომლის დატოვებაც წვრილმანი ხულიგნობის გამო მოუხდა. ინგლისში როკ-ენ-როლი ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს. სხვადასხვა მიზეზთა გამო, საზოგადოებაში ნაწილობრივ, ანტიამერიკული განწყობა სუფევდა. აკრიტიკებდნენ მათ "ეშმაკისეულ" მუსიკასაც:

**"მე კი, პირიქით: გარდატეხის ასაკში იმდენად მოვინუსხე ელექტრო-გიტარით, რომ შინაგანმა ძალამ მისი ხელში აღება მიკარნახა: 10 წელი, ორკესტრში, ვიოლინოზე ვუკრავდი, მაგრამ უცბად იგი გვერდზე გადავდე და პირველი გიტარა შევიძინე."**

### ჰამბურგი

ომის შემდგომ პერიოდში, გერმანიის საპორტო ქალაქი ჰამბურგი, ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ჩვენი დროის დიდი მუსიკოსები იქ იწყებდნენ კარიერას. 20 წლის ტონიც (ჰამბურგში ჩასვლამდე იგი ლეგენდარულ მუსიკოსებთან, ედი კოკრენთან და ჯინ ვინსენტთან ერთად უკრავდა), თავის სახელდახელოდ შექმნილ როკ-ჯგუფთან ერთად, ბედის საძებნელად ჩრდილოეთ გერმანიაში გაემგზავრა:

**"პირველმა საღამომ ბუმით ჩაიარა. ბავშვები ჩვენით აღფრთოვანდნენ, რამეთუ მსგავსი ჟღერადობა არსად მოესმინათ. ამას ემატებოდა ენა, გიტარები, ჯეიმს დინისა და ელვის პრესლის ტყავის ქურთუკები. ჩვენ სახიფათოდ გამოვიყურებოდით. ცხადია, მათ ჩვენს თავს პრესლი ერჩივნათ, მაგრამ ის მიუწვდომელი იყო. ამდენად, ჩვენზეც თანახმანი იყვნენ".**

### "ბითლზი"

რეპერბანზე შერიდანმა მალე მოიხვეჭა სახელი და მუსიკალური კლუბების სასურველი სტუმარი გახდა. 1960 წლის შემოდგომაზე ("კაიზერქელერის" სცენაზე საშემსრულებლო ტექნიკის დახვეწისა და ბინძურ ლეიბებზე გატარებული ღამეების შემდეგ) პოპულარული კლუბის, "ტოპ 10"-ის მფლობელმა, ტონი და მისი ჯგუფი უკეთესი საარსებო გარემოსა და მაღალი ანაზღაურების პირობით, თავის დაწესებულებაში სამუშაოდ მიიწვია. ჰამბურგში დაწყებული კარიერის გარდამავალ პერიოდში კი, "ტვისტის მეფე" (როგორც მას ჰამბურგში მოიხსენიებდნენ. ავტ.) სტრიპტიზ-კლუბ "სტუდიო იქსის" შოუებს მუსიკალურად აფორმებდა:

**"ერთ საღამოს, ტყავის ქურთუკებში, კოვბოის ჩექმებსა და ჯინსებში გამოწყობილი საინტერესო "ტიპები" შემოვიდნენ. მათ, ჩვენს მსგავსად, ცხიმით გაპოხილი თმები და პრესლის ვარცხნილობა ჰქონდათ. ესენი იყვნენ: ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, ჯორჯ ჰარისონი და პიტ ბესტი. ისინი ყოველ საღამოს მოდიოდნენ კლუბში. მუსიკამ ერთმანეთთან მალე დაგვამეგობრა. ისინიც ფანატურები იყვნენ და მეც. მოგვიანებით, როცა "ტოპ 10"-ში, აკომპანირებისათვის ახალი ჯგუფი დამჭირდა, ვიღაცამ "ბითლზი" შემახსენა. მე ისინი მომწონდნენ: ჩვენ თითქმის ერთ დონეზე ვიყავით. ხელოვნება და მხატვრობა მათაც უყვარდათ. ისინი ექსცენტრიულები და ამავე დროს, ჭკვიანები იყვნენ. მე მათთან ერთად დაკვრა გადავწყვიტე".**

### პუბლიკა

**"ტოპ 10" ყოველ საღამოს "ჭრელი" პუბლიკით იყო სავსე. ადგილი ჰქონდა ქაოსს, სისხლიან შეტაკებებს, მაგრამ ჩვენ გვიხაროდა: გვქონდა მეტი ფული და ბევრად უკეთესი, ყაზარმული საწოლები; და რაც მთავარია, ვქმნიდით ძალიან კარგ მუსიკას".**

### ნარკოტიკები

**"მთელი ის დრო ერთ უზარმაზარ ანეკდოტს ჰგავდა. ჩვენ გარშემო სულ რაღაც ხდებოდა. ეს ნამდვილი სიგიჟე იყო და ჩვენც გიჟები ვიყავით: გვქონდა ერთი დიდი პროგრამა 200-მდე კომპოზიციით, რომელთა შორის ყველაზე პოპულარული What'd I Say გახდა. როცა რეპერტუარი ამომწურვია, მისი 25-წუთიანი ვერსიაც კი დამიკრავს. ჩვენ შოუს ვაწყობდით, პერანგებს ვიხდიდით და იატაკზე ვგორავდით. "ბითლზს" თავისი სიმღერები ჰქონდა, მე-ჩემი. როცა ისინი მღეროდნენ, მე ვუკრავდი. ჩემს სიმღერებზე კი ვოკალურ აკომპანიმენტს მიკეთებდნენ. ჩვენც ისევე აღგზნებულნი ვიყავით, როგორც ყველა "ომის დროინდელი ბავშვი": ვსვამდით ბევრ ლუდს და ვიღებდით ნარკოტიკულ აბებს, რომელიც პირველად, განგსტერებმა გაგვასინჯეს. ისინი, ღამის 2 საათზე, ჩვენი შოუს დასასრულს, მეძავებთან ერთად მოდიოდნენ, გასამხნევებლად ნარკოტიკებს გვთავაზობდნენ და What'd I Say შესრულებას გვთხოვდნენ. ჩვენც იძულებულნი ვიყავით, დავთანხმებოდით".**

### "სამზარეულო"

ხმის ჩამწერი სტუდიისთვის განსხვავებული მუსიკა იქმნებოდა: მომღერლებს ფართო არჩევანი არ ჰქონიათ. პროდიუსერი ბერტ კემფერტი დაჟინებით მოითხოვდა გერმანელი პუბლიკისთვის სასურველი და მისაღები რეპერტუარის შედგენას და ამდენად, მათ შემოქმედებით თავისუფლებას ზღუდავდა. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა, რომ ისინი მხოლოდ My Bonnie-თ, The Saints-ითა და What'd I Say-თ შემოიფარგლებოდნენ. ასე, რომ ე.წ "შავ" მუსიკას ინგლისელებიდან მხოლოდ შერიდანი და "ბითლზი" მისდევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ განსვენებულზე საუბარი, "ტვისტის მეფეს" ეუხერხულებოდა, მან ერთი "საიდუმლოც" გამანდო:

**"როდესაც "ბითლზის" მენეჯერი, ბრაიან ეპშტაინი დღის სინათლეზე გამოჩნდა, მან My Bonnie-ის ფირფიტით ლონდონის ყველა ხმის ჩამწერი კომპანია შემოიარა და დაჟინებით ითხოვდა ჯგუფის ჩაწერას, რაზეც (ჯორჯ მარტინის გარდა) ყველა უარს ამბობდა. ეპშტაინმა ჩემ მიერ არანჟირებული და შესრულებული სიმღერა საკუთარი მიზნებისთვის, გულუბრყვილოდ გამოიყენა და ურცხვად ირწმუნებოდა, რომ ჩანაწერი მის ჯგუფს, "ბითლზს" ეკუთვნოდა... მოგვიანებით, თვალებს არ დავუჯერე, როცა ეს ბიჭები დავარცხნილები, დაბანილები, კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილები დავინახე. თანაც ყოველი სიმღერის შემდეგ, პუბლიკის წინაშე თავს მდაბლად ხრიდნენ. ეს უცხო იყო ჩემთვის. ჩვენ ხომ ყოველი სიტყვის შემდეგ ხან "ამას" და ხან "იმას" ვაგინებდით?! მე მათი სიმღერები Please, Please Me და Love me Do სასაცილოდ არ მყოფნიდა - ვთვლიდი, რომ მათ სულები გაყიდეს. ვიდრე "ბითლზს" შეუერთდებოდა, რინგო სტარი, ლივერპულიდან ჰამბურგში მე წამოვიყვანე. ჯორჯ ჰარისონი კი მხოლოდ იმიტომ დარჩა ჯგუფში, რომ მასზე უკეთესი ვერ იპოვეს (მისი პარტიის შესრულებას მე მთავაზობდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის არცთუ ისე რთული იყო და ადვილად შემეძლო დაუფლება, ამ წინადადებაზე უარი ვთქვი). ის მუდმივად უკან დგომას ძალიან განიცდიდა. ჯონი და პოლი ამბიციურები იყვნენ და წარმატების მისაღწევად ეშმაკსაც კი გაუწვდიდნენ ხელს. მე კი ასეთი ცხოვრება არასოდეს მაინტერესებდა."**

### ახალი ეტაპი

სამოციანელებს ე.წ. "მეორადი მოხმარების" (ანუ სხვის მიერ შექმნილი და შესრულებული სიმღერები) მუსიკის ფაქტორი დროთა განმავლობაში, უკვე ხელს უშლიდა. ბევრი მათგანი ნოტებს ერთგულად მისდევდა, ბევრმა კი, საკუთარი იმპროვიზაციით, ფაქტიურად, ახალი ნაწარმოებები "შექმნა". ეს კი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჰამბურგში მოღვაწე მუსიკოსებმა თავიანთი შემოქმედების გამრავალფეროვნებისთვის ზრუნვა დაიწყეს.

### ვიეტნამი

ვიეტნამის ომში წასული ტონი შერიდანი ამერიკელებს 18 თვის მანძილზე ამხნევებდა. მას სისტემატურად უწევდა ვერტმფრენით სახიფათო რეისების შესრულება და გიტარით ხელში, ჯარისკაცების წინაშე წარდგომა. იგი დღემდე თვლის, რომ პირველად, სწორედ იქ შეხვდა პუბლიკა, რომელმაც გაუგო და აღიარა, რამეთუ საველე პირობებში შესანიშნავი მსმენელი შეიძინა. ერთი მხრივ, სოულის გულშემატკივარი ფერადკანიანებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ქანთრი-ენ-ვესტერნის მოყვარულთა სახით:

**"მოგვიანებით, როცა ჰამბურგის საერთო საცხოვრებელში, კომუნისტებთან ერთად მომიწია ცხოვრებამ, მათ მკითხეს, თუ რატომ ვუკრავდი "იდიოტი ამერიკელებისთვის, რომლებიც მუდმივად სისხლისღვრის საბაბს ეძებენ". მე კი ამას სხვაგვარად ვხედავდი: ჯონ ლენონი რომ კონცერტების გასამართად ჩასულიყო ვიეტნამში, ომი ბევრად ადრე დასრულდებოდა".**

### "სისხლიანი კვირადღე"

**"როდესაც ვიეტნამიდან ინგლისში დავბრუნდი და ჩრდილოეთ ირლანდიაში ისეთი ჯოჯოხეთი დავინახე, როგორიც 1972 წლის "სისხლიანი კვირაა" (როცა ბრიტანელმა პარაშუტისტებმა ქუჩაში ქალები და ბავშვები დაცხრილეს), მივხვდი, რომ ეს მეტისმეტი იყო ჩემთვის: მე ხომ მსგავსი ქაოსიდან ახლად დაბრუნებული ვიყავი?! არ მსურდა, ამ ბანდის წევრი ვყოფილიყავი და პოლიტიკური ორიენტაცია შევიცვალე"** (პროტესტის ნიშნად მან ბრიტანეთის მოქალაქეობა ირლანდიისაში "გაცვალა". ავტ.).

### მუსიკა

**"მუსიკოსობა მუდამ გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ყოველი კონცერტის წინ მეუფლება უცნაური განცდა, რომელსაც ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მზადებას შევადარებდი: ვიკრებ ძალას, ენერგიას და ვიცი, რომ სულიერი განწყობის მიუხედავად უნდა გავიდე სცენაზე, მაგრამ თუ "მტერი" ჩემზე ძლიერია, რა ხდება მაშინ?!.. ინსტრუმენტთან კონტაქტი ქალთან ურთიერთობას უნდა ჰგავდეს: თუ გიყვარს, ხშირად ეფერები და კოცნი, მხოლოდ მაშინ გაუგებ მას და უკეთესად დაუკრავ".**

**P.S.** თამამად ვიტყვი, რომ იმ საღამოს ჩვენი დიდი მეგობრობა დაიწყო.

ამ მეგობრობას ტონიზე შექმნილი პირველი დოკუმენტური ფილმი მოჰყვა, რომლის პრემიერაც 2004 წლის 1 მაისს მანჰეტენზე, ნიუ იორკის დამოუკიდებელი ფილმებისა და ვიდეოს საერთაშორისო ფესტივალზე შედგა (და რომელიც ტელეკომპანია "მზე"-მ თავისი უცნაური, ე.წ. "სახალხო" კინოფესტივალის ჩვენებიდან მეტად უცნაური მოტივით ამოიღო: მუსიკალური ფილმის ფორმატი არ გვაქვსო!). ფილმის გადაღებისას, ჩემ მეგობარსა და ფილმის გმირს რამოდენიმე ტურნესა და კონცერტზე ვახლდი. დაუვიწყარი იყო მასთან და მის ზენდთან ერთად ავსტრიის სამთო-სათხილამურო კურორტ ობერთაუერნში მოგზაურობა (1965 წელს, რეჟისორმა რიჩარდ ლესტერმა "ბითლზის" მონაწილეობით, ცნობილი მხატვრული ფილმის "HELP!"-ის რამდენიმე ეპიზოდი სწორედ ობერთაუერნის სათხილამურო ბილიკებზე გადაიღო). აღარ ვისაუბრებ იმაზე, თუ რამდენად დიდი ემოცია გამოიწვია ჩემში სცენაზე შერიდანის დანახვამ, მის მიერ შესრულებული ლეგენდარული კომპოზიციების მოსმენამ და იმ ახალგაზრდულმა შემართებამ, რომელიც ძველი "როკ-ენ-როლერის" პორტრეტს მუდამ თან სდევს.

ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის დასასრულს, "ტვისტის მეფემ" ხელი ჩამომართვა და ძალიან თბილად მითხრა: "ჯორჯ, მსურს, შენს სამშობლოში ვიმღერო!"

იმ წუთებში სიხარულისგან და სიამაყისგან დამეუფლა განცდა, რომელიც არც წარსულში და არც მოგვიანებით, თვით პოლ მაკარტნისთან პირადად შეხვედრისასაც კი არ მქონია (თუმცა, ეს განცდა, დიდი მუსიკოსის თბილისში ჩამოსაყვანად საკმარისი არ აღმოჩნდა).






ტონი შერიდანი ახალგაზრდობაში.



წერილის ავტორი ტონი შერიდანთან ერთად.




ტონი შერიდანი "სტარ-კლუბში".

მოკლედ

## გამაერთიანებელ საჭადრაკო ჩემპიონატზე ხელი მოწერილია

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტის ყალმუხეთის ხელმძღვანელის კირსან ილუმჟინოვის ცნობით, გამაერთიანებელი საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატი 27 სექტემბერი 16 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდება სან-ლუისში (არგენტინა).

"რვავე მონაწილემ, პლანეტის რვა უძლიერესმა მოჭადრაკემ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას", - ვითარებაში გვარკვევს ილუმჟინოვი.

კერძოდ ფიდეს პრეზიდენტის სიტყვებით, ვიტყობთ, რომ გამაერთიანებელ მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონი რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი), დიდოსტატი მაიკლ ადამსი (ინგლისი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), პეტერ ლეკო (უნგრეთი), პეტრ სვიდლერი (რუსეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი).

ტურნირის საპრიზო ფონდი ილუმჟინოვისვე ცნობით, ერთი მილიონი დოლარია.

## შუმახერის საფორმულე იუბილე 14 წლისაა

გუშინ ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა ერთგვარი იუბილე აღნიშნა. ზუსტად 14 წლის წინათ - 1991 წლის 25 აგვისტოს შუმახერის სამეფო რბოლებში დებიუტი შედგა. შუმის საფორმულე ნათლობა კი მაშინ "ბელგიის დიდ პრიზზე" "ჯორდანის" საჭესთან შედგა. გერმანელის დებიუტი სენსაციური გამოდგა. კვალიფიკაციაზე შუმახერმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. თუმცაღა ძირითად რბოლაში ერთიანად ჩაფლავდა - ერთი წრის გავლაც ვერ შეძლო.

## დელ ორნოს მიზანი



ასიერ დელ ორნომ დიდი ხანი იფიქრა, ვიდრე ბილბაოს "ატლეტიკიდან" ლონდონის "ჩელსიში" გადაბარგდებოდა. ბილბაოს ცნობილი საფეხბრუთო აკადემიის აღზრდილმა და ესპანეთის ნაკრების მცველმა დელ ორნომ ბასკურ კლუბს 11 წელი შეალია და ეჭვი შეეპარა, ღირს თუ არა დაიწყოს ახალი, ინგლისური ეტაპი მის საფეხბურთო კარიერაში.

თუმცა ლონდონელმა მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოსთან საუბრის შემდეგ ფეხბრუთელს ყველა ეჭვი გაუქრა. 24 წლის ფეხბურთელმა ინგლისის ჩემპიონთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და განაცხადა, რომ სწორედ ჟოზე მოურინიომ დაარწმუნა იგი "სტემფორდ ბრიჯზე" გადასულიყო.

"ჩემთვის ესპანეთის დატოვება უაღრესად რთული საქმე იყო. ბილბაოში მე ყველაფერი მაწყობდა. თუმცა მოურინიომ მალე დამარწმუნა, რომ "ჩელსის რიგებში გადასვლა მართებული ნაბიჯი იყო - განაცხადა 24 წლის მცველმა - მისი სატელეფონო ზარის შემდეგ მე ბევრად მეტი თავდაჯერებულობა შევიგრძენი და საკუთარ ძალებში დავრწმუნდი. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. მოურინიომ მითხრა, რომ ჩემი გუნდში ხილვა სურს. ჩემთვის კი შესანიშნავი შანსია მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გამოვიჩინო თავი. მან ისიც მითხრა, რომ თუ ყველაფერს ვიღონებ, რაც საჭიროა, მაშინ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო განაპირა მცველი გავხდები".

არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ გუნდში დელ ორნო მუხლჩაურხელად იშრომებს. 24 წლის მცველს ესმის, რომ საჭირო დონის მისაღწევად დიდი შრომა მოუწევს. ფეხბურთელს ძალიან სურს, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს მოურინიოს ხელმძღვანელობით თამაში, რადგან პორტუგალიელმა სპეციალისტმა მას "ესპანეთის საუკეთესო განაპირა მცველი" უწოდა. "ატლეტიკის" ექსფეხბურთელს სჯერა, რომ მოურინიოს ხელში ის ბევრად უფრო სწრაფად მიაღწევს საჭირო პროგრესს.

"დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად უფრო კარგად ვითამაშებ ისეთი მწვრთნელის ხელში, როგორიც ჟოზე მოურინიოა - ამბობს დელ ორნო - ჩემთვის რთული იყო უარი მეთქვა ისეთი კალიბრის გუნდის წინადადებაზე, როგორიც "ჩელსია", ვინაიდან ნათელია, რომ ლონდონური კლუბის შემადგენლობაში უფრო მაღალი დონის ოსტატი გავხდები, ვიდრე აქამდე ვიყავი. მე მსურს მსოფლიოს საუკეთესო მარცხენა მცველი გავხდე და ყველაფერს ვიღონებ ამ მიზნის განხორციელებისთვის. "ჩელსიში" გადასვლა უნიკალური შანსია და ჩემს საფეხბრუთო კარიერაში უზარმაზარი წინ გადადგმული ნაბიჯია".

ზოგადად უცხოელებს უჭირთ ისეთ მაღალ ტემპთან შეგუება, როგორიც ინგლისშია დანერგილი, მაგრამ დელ ორნოს ეს პრობლემა არ ანაღვლებს. მცველი დარწმუნებულია, რომ მისი სისწრაფე და ფიზიკური მონაცემები სავსებით ესადაგება ინგლისის ჩემპიონატს. ამდენად, ესპანელი ფეხბურთელი მოუთმენლად ელის ახალი სეზონის დაწყებას.

"ვარჯიშები უკვე დაიწყო და ეს ჩემთვის სულ უფრო საინტერესოა. მოუთმენლად ველოდები იმ დროს, როცა პირველად მოვირგებ "ჩელსის" ლურჯ მაისურს - გვიამბობს დელ ორნო - რა სასიხარულოა, რომ ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის შანსი მომეცა! მიმაჩნია, რომ ჩემი თამაშის სტილი ყველაზე უფრო სწორედ ინგლისის ჩემპიონატს ესადაგება, სადაც მატჩები მაღალ ტემპში მიმდინარეობს. ფეხბურთელები მუდმივად მოძრაობენ და გადაცემების გაკეთება სისწრაფეში გიხდება. ასეთი ფეხბრუთი ძალიან მომწონს. ვფიქრობ ნებისმიერი ევროპელი ფეხბურთელი ოცნებობს პრემიერლიგაში თამაშზე".

დელ ორნოს ძალიან კარგად მოეხსენება, რომ მყისვე უნდა გამოიჩინოს თავი ლონდონურ კლუბში, თუ მას ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება სურს. ესპანელს ისეთ ფეხბრუთელებთან მოუწევს კონკურენცია, როგორებიც ინგლისის ნაკრების მცველი უეინ ბრიჯი და საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი უილიამ გალასი არიან. თუმცა ინგლისელების მიერ 12 მილიონ ევროდ შეძენილი დელ ორნო გამოცდას არ უფრთხის.

"ვიცი, რომ "ჩელსიში" ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად სერიოზული კონკურენციაა, მაგრამ ეს ჩემთვის მხოლოდ სასარგებლოა. რთული იქნება, მაგრამ მწამს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოპოვებას მოვახერხებ. სწორედ ეს იქნება ჩემი უმთავრესი ამოცანა ჩემი ინგლისური კარიერის საწყის ეტაპზე" - განაცხადა ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელმა.

ფეხბურთი

# შოთაძე ფედერაციას დაემშვიდობა

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ დაკავებული თანამდებობა დატოვა. ამის თაობაზე მან გუშინ სფფ-ს ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა განცხადება.

"მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს შორის საფეხბურთო საკითხთა უმეტესობაზე აზრთა თანხვედრაა, მიმაჩნია, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უნდა დავტოვო. ბატონმა ნოდარმა დანიშვნის პირველივე დღეებში გამოთქვა ჩემთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი და ამ საკითხზე არაერთხელ გვისაუბრია. თუმცა, მე თამაშის გუნდური პრინციპის მომხრე ვარ და გამართლებულად მიმაჩნია, რომ ახალკაცს საკუთარი გუნდის დაკომპლექტების საშუალება უნდა მიეცეს. ამიტომ ვტოვებ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს", - განაცხადა შოთაძემ პრესკონფერენციაზე.

აღსანიშნავია, რომ მერაბ ჟორდანიას კვალდაკვალ მისი გუნდის კიდევ ერთი წევრი ნუკრი კაკილაშვილიც გაათავისუფლეს წინასწარი პატიმრობიდან. რომან შოთაძემ საკუთარი გადადგომა ერთგვარად ამ ფაქტსაც დაუკავშირა.

"მოხარული ვარ, რომ ჟორდანიას მსგავსად, კაკილაშვილიც გაათავისუფლეს. თანამდებობის დატოვება ერთი კვირის წინათ გადავწყვიტე. თუმცა, აფიშირებას კაკილაშვილის გათავისუფლების შემდეგ ვაპირებდი. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჟორდანიასა და კაკილაშვილის გათავისუფლების საქმეში შეიტანა წვლილი. სფფ-დან მივდივარ, თუმცა, მე და ჩემი გუნდი ფეხბურთიდან წასვლას არ ვაპირებთ. ცოტას დავისვენებთ, შემდეგ კი ფედერაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციებს გავივლით და გადავწყვეტთ, რა ფორმით გავაგრძელებთ ფეხბურთში საქმიანობას", - აღნიშნა რომან შოთაძემ.

უნდა ითქვას, რომ მერაბ ჟორდანიას და მის გუნდს საფეხბურთო სამყაროში დარჩენის კარგი პერსპექტივა აქვს. როგორც შოთაძემ თქვა, ფედერაციის ექსპრეზიდენტს ახლო თუ შორეული საზღვარგარეთიდან საკმაოდ მაცდუნებელი შეთავაზებები აქვს.

"ჯერ კიდევ დაკავებამდე ჟორდანიას გადაბირება "ჩელსის" მეპატრონეს რომან აბრამოვიჩს სურდა, მაგრამ მერაბმა მიიჩნია, რომ მისი სამსახური ქართულ ფეხბურთს უფრო სჭირდებოდა და აბრამოვიჩს თავაზიანი უარი შეუთვალა. ჟორდანიას მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა მოსკოვის "დინამოს" ხელმძღვანელობაც. ორივე შეთავაზება დღესაც ძალაშია, თუმცა, ჟორდანიას ჯერ არ გადაუწყვეტია, რა გზას აირჩევს", - განაცხადა ჟორდანიას მეგობარმა და პარტნიორმა.

# „ლივერპული" VS „ჩელსი"

*გუშინ მონაკოში გაიმართა 2005-2006 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა. საინტერესოა, რომ წელს პირველად ლიგის ჯგუფური ტურნირი ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების წარმომადგენელთა გარეშე ჩაივლის. ყველაზე საინტერესო სიტუაცია კი გუშინდელ კენჭისყრაზე G ჯგუფში გათამაშდა, სადაც ერთმანეთს შარშანდელი ტურნირის ნახევარფინალისტები ლონდონის "ჩელსი" და "ლივერპული" გადაეყარნენ. მაშინ რაფაელ ბენიტესის გუნდმა ორრაუნდიანი დაპირისპირება თავის სასარგებლოდ დაამთავრა და შემდეგ ლიგაც მოიგო. წელს კი ამ დაპირისპირებას "ჩელსის" ფანები იმედიანად ელოდებიან. საერთოდ კი მიიჩნევენ, რომ ორ ინგლისურ გრანდს არ უნდა გაუჭირდეს ჯგუფიდან გასვლა.*




**A ჯგუფი:** ბაიერნი (გერმანია), იუვენტუსი (იტალია), ბრიუგე (ბელგია), რაპიდი (ავსტრია)
**B ჯგუფი:** არსენალი (ინგლისი), აიაქსი (ჰოლანდია), სპარტა (ჩეხეთი), თუნი (შვეიცარია)
**C ჯგუფი:** ბარსელონა (ესპანეთი), პანათინაიკოსი (საბერძნეთი), ვერდერი (გერმანია), უდინეზე (იტალია)
**D ჯგუფი:** მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), ვილიარეალი (ესპანეთი), ლილი (საფრანგეთი), ბენფიკა (პორტუგალია)
**E ჯგუფი:** მილანი (იტალია), პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია), შალკე 04 (გერმანია), ფენერბახჩე (თურქეთი)
**F ჯგუფი:** რეალ მადრიდი (ესპანეთი), ლიონი (საფრანგეთი), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), როსენბორგი (ნორვეგია)
**G ჯგუფი:** ლივერპული (ინგლისი), ჩელსი (ინგლისი), ანდერლეხტი (ბელგია), რეალ ბეტისი (ესპანეთი)
**H ჯგუფი:** ინტერი (იტალია), პორტუ (პორტუგალია), რეინჯერსი (შოტლანდია), არტმედია (სლოვაკეთი)

**ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩები 13-14 სექტემბერს გაიმართება.**

კენჭისყრის დაწყების წინ ჯგუფური ეტაპის მონაწილე 32 გუნდი მათი რეიტინგის შესაბამისად ოთხ კალათაში გაანაწილეს. პირველ კალათაში თავი მოიყარეს უმაღლესი რეიტინგის მქონე რვა გუნდმა. მომდევნო რვა კლუბი მეორე კალათაში განთავსდა. ასეთივე პრინციპით განაწილდნენ დანარჩენი კლუბებიც - მესამე და მეოთხე კალათაში.

ამის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის მონაწილე გუნდები რვა ჯგუფად გაიყო - A, B, C, D, E, F, G, H - ამასთან ერთი ქვეყნის გუნდები ტრადიციის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფში განათავსეს. ერთადერთი გამონაკლისი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ინგლისის "ლივერპული" იყო. რაკი რაფაელ ბენიტესის გუნდი ევროპული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე უეფას სპეციალური გადაწყვეტილებით დაუშვეს, უეფამ მიიჩნია, რომ მას უფლება ჰქონდა, ჯგუფურ ეტაპზე თავისი ქვეყნის კლუბთან ეთამაშა. იმისთვის, რომ ერთი ქვეყნის კლუბებს საკუთარი მატჩები სხვადასხვა დღეს გაემართათ, ჯგუფები განსხვავებული ფერებით წარმოადგინეს. A, B, C, D - წითელ ფერში გამოეწყო, ხოლო E, F, G, H - ლურჯში.

პირველ კალათაში თავი მოიყარეს - "რეალმა", "მილანმა", ბარსელონამ", "ლივერპულმა", "მანჩესტერ იუნაიტედმა", "ინტერმა", "ბაიერნმა" და "არსენალმა". ისინი რვა ჯგუფში გადანაწილდნენ და ეგრეთ წოდებული განთესილების ადგილი დაიკავეს. შემდეგ მომდევნო რვა კლუბის ბედი გადაწყდა. ასევე მესამე კალათის მკვიდრთა და ბოლოს თავიანთი ადგილი მეოთხე კალათაში თავმოყრილებმაც იპოვნეს. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომპიუტერმა ჯგუფის ყველა გუნდის ადგილი განსაზღვრა. სწორედ ამის მიხედვით უნდა შემდგარიყო საშინაო და გასვლითი შეხვედრების გრაფიკი.

ყოველი კლუბი სამ-სამ შეხვედრას გამართავს სამშაბათს და ოთხშაბათს. გრაფიკი ისე შედგება, რომ ერთი ქვეყნის კლუბები სხვადასხვა დღეს ითამაშებენ. ანუ, თუ ერთი კლუბი სამშაბათს ითამაშებს საკუთარ მინდორზე, მაშინ მეორე თავის მატჩს ოთხშაბათს სტუმრად გამართავს. თუ ტურნირში ერთი ქვეყნის სამი კლუბია წარმოდგენილი, მაშინ ორი ერთ დღეს ითამაშებს, ერთი კი მეორე დღეს, ხოლო, თუ ერთი ქვეყნიდან ოთხი კლუბი თამაშობს, მაშინ თითო დღეს ორ-ორი კლუბი ითამაშებს.

შესაბამისად, ყველაზე უფრო თვალსასეირო G ჯგუფი აღმოჩნდა, სადაც "ლივერპული" და "ჩელსი" მომოხვდნენ. საინტერესოა, რომ შარშან "ჩელსი" ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოდა. "ლივერპული" კი ოთხეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მერსისაიდელებმა რაფაელ ბენიტესის ხელმძღვანელობით შანსი არ დაუტოვეც "არისტოკრატებს" და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაც მოიგეს. ამჯერად კი, ჯგუფურ ეტაპზე ინგლისელებს ორ საგზურს ესპანეთის მეოთხე გუნდი სევილიის "ბეტისი" და ბელგიის "ანდერლეხტი" შეეცილებიან.

საინტერესოა, რომ ერთ ჯგუფში მოხვდა შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი ნახევარფინალური წყვილი - "მილანი" და "პსვ ეინდჰოვენი". მათი უაღრესდად დრამატული ორთაბრძოლა მილანელების საბოლოო გამარჯვებით კი დასრულდა, მაგრამ საყოველთაო მოსაზრებით, ჰოლანდიური კლუბი უდიდესი სენსაციის ავტორი გახდა.

ამას გარდა კენჭისყრის დაწყებამდე დაასახელეს შარშანდელი გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელები. გამოკითხვის მიხედვით, საუკეთესო მეკარე "ჩელსის" კარის დარაჯი პეტერ ჩეხი გახდა. საუკეთესო მცველის ტიტული მისმა თანაგუნდელმა ჯონ ტერიმ დაიმსახურა. საუკეთესო ჰავბეკად "მილანის" ბრაზილიელი ნახევარმცველი კაკა აღიარეს, საუკეთესო ფორვარდად კი "ბარსელონელი" რონალდინიო დასახელდა. ხოლო ტურნირის უძვირფასეს ფეხბურთელად ტურნირის გამარჯვებულის, "ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი აღიარეს.

# ბერლუსკონი შევჩენკოს ვაჟის ნათლიმამა ხდება

იტალიის პრემიერ-მინისტრი და იმავდროულად მილანის "მილანის" პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი საკუთარი კლუბის უკრაინელი ლეგიონერის ანდრეი შევჩენკოს ვაჟის ჯორდანის ნათლიმამა გახდება. ინფორმაციას კი ბელგიური გაზეთი Gazet van Antwerpen-ი ავრცელებს.

იმავე გაზეთზე დაყრდნობით ნათლობა 29 სექტემბერს შედგება. თარიღი იმადაცაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ 29-ში ანდრეი შევჩენკოს დაბადების დღე აქვს და ამასთან 29 წლის ხდება. რიცხვი 29 სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია. შარშან 29 ოქტომბერს უკრაინელი თავდამსხმელი ვაჟის მამა გახდა.

გარდა ამისა, ბერლუსკონიმ შევჩენკო დააიმედა, "რომ ისიც სხვა დიდი მოთამაშეების მსგავსად, რომლებსაც კი ოდესმე უთამაშიათ "მილანში", კლუბში დარჩებიან კარიერის დასრულებამდე".

ბერლუსკონის ამგვარ განცხადება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ შევჩენკო არ იყიდება. მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკრაინელს რომან აბრამოვიჩთან "ჩელსიში" ჰყიდდნენ.

რაც შეეხება თავად შევჩენკოს, უკრაინელი ფეხბურთელი შარშან 14 ივლისს დაქორწინდა. დაქორწინდა ამერიკელ ფოტომოდელ კრისტი პაზიკზე, რომელიც ჯორჯო არმანის ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო.



## ორშაბათი 29.08

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ფორტი ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" (გ) **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.25** მულტსერიალი "ლუი" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** მულტფილმი "ლუი" **18.30** პატრული **19.00** ფორტ-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "თავისუფალი ქალი" **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "თვალცრემლიანი მკვლელი" (18) (მარკ დაკასკოსი) **02.20** პატრული

### მთავარი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **08.50** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **09.00** დოკ. ფილმი "ნაგასაკი" **10.00** სერიალი "სკოლის მეგობრები" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** სერიალი "თოვლის დედოფალი" **14.00** სერიალი "სკოლის მეგობრები" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - გალინა ბრეჟნევა **16.30** დოკ. ფილმი "შტრაუსი- ვალსის მეფე" **17.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "ვაკანსია" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა"- ფეხბურთი **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - ლიტურგია **23.30** სერიალი "ლინდა და პოლიციელი" **00.30** მხ. ფილმი "მეთვალყურე" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ექო" **12.15** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **13.00** ფეხბურთი: ბოლტონი-ნიუკასლი **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** მხ. ფილმი "სამეფო ქორწილი" (გ) **00.00** მხ. ფილმი "ერთად მოვკვდებით" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ზაბილინა" **20.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ველური კამერები" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "მაისის თოვლი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 13.00** ქრონიკა **08.10** ანიმაც. ფილმი "რელიქვიების მაძიებლები" **09.05** სერიალი "თავგადასავალთა კორპორაცია" **10.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** ვაკაჭი-ნიუსი **11.30** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 14.35, 17.15, 04.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რობინზონიადა" **15.00, 17.00, 20.00, 23.00, 04.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.30** "ჩვენი ეზოს ამბები" **18.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **18.55** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.35** მხ. ფილმი "აუზი" (12) (რ. შნაიდერი) **02.15** მხ. ფილმი "მეფე ცეკვავს" (15) (ბ. მაჟამელი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** მულტსერიალი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** კომედია "გოლდმემბერი" **11.50** მხ. ფილმი "ბაიკერები" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **14.45** ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" **17.00** მულტსერიალი **18.00** "პროექტი მომავალი" **18.30** "ნოვოსტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მუსიკა **21.30** "პროექცია" **21.50** თრილერი "საიდუმლო ფანჯარა" **00.00** "ახალი ამბები" **00.20** ბოევიკი "ლედი ჯეინი დაქირავებული მკვლელი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Прикл. фильм **"ОСТАТЬСЯ В ЖИВЫХ".** Фильм 8-й. **10.50** Иронический детектив **"ЕВЛАМПИЯ РОМАНОВА. СЛЕДСТВИЕ ВЕДЕТ ДИЛЕТАНТ".** **12.20** Сильвестр Сталлоне в комедии **"СТОЙ, А ТО МАМА БУДЕТ СТРЕЛЯТЬ!".** **14.00** "Пестрая лента". Татьяна Пельтцер. **15.10** "Лолита. Без комплексов". **16.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ".** **17.00** "Федеральный судья". **18.10** "Кривое зеркало". **18.40** Сериал **"УБОЙНАЯ СИЛА".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ-2".** **22.30** Спецрасследование. "Черные риэлторы". **23.30** Уэсли Снайпс в остросюжетном фильме **"ЗОНА ВЫСАДКИ".** **01.30** Ребекка Де Морней в триллере **"БРАК ПО РАСЧЕТУ".** Симпатичная мошенница Барбара Битти отлично знает, как использовать свои чары, чтобы достигнуть желаемого результата. Но однажды происходит осечка, и Барбара попадает в грязную историю, задолжав мафии 125 тысяч долларов. Возвращать деньги надо быстро. И теперь ее единственное спасение - соблазнить и женить на себе страшненького механика из гаража, проживающего в небольшом городке на юге страны. Этот простофиля и знать не знает, что скоро должен получить наследство в два миллиона долларов. А Барбара отправляется в путь, не подозревая, что вскоре ее сердце пронзит стрела Купидона. **03.10** Джеффри Мик в триллере **"КОДОВОЕ ИМЯ "ФЕНИКС".** Гонконг, 2020. Вряд ли кому придет в голову, что красивая молодая женщина по имени Люси Ченг - секретный агент спецслужб китайской разведки по кличке "Феникс". Ей поручено сверхсекретное и ответственное задание: уничтожить "зло ближайшего будущего" - чудодейственную вакцину против старения, разработанную доктором Фонгом в лаборатории "Секвойя". Но тайной миссии не суждено было свершиться: Люси подставляют, хотя ей и удается скрыться. За поимку "опасной преступницы" объявлена награда в миллион долларов. Среди прочих, в поисках девушки принимает участие и шериф Джейк Хокинс, первоклассный "охотник за головами". **04.40** Док. фильм "Черное солнце Михаила Шолохова".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Док. цикл "Гвардия". Фильм 8-й. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.50** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Армен Джигарханян в детективе **"ТАЙНЫ МАДАМ ВОНГ".** Комиссар полиции Томсон упустил легендарную предводительницу современных гонконгских пиратов мадам Вонг. Но была обнаружена карта с указанием места, где были спрятаны сокровища. Люди Мадам Вонг похищают внука комиссара, требуя огромный выкуп. И тогда полицейский решает завладеть пиратским кладом... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА".** **17.25** Сериал **"МАНГУСТ-2".** **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"МУР ЕСТЬ МУР-3".** **20.45** Сериал **"ЗВЕЗДОЧЕТ".** **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "По ту сторону войны". Фильм Алексея Поборцева. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Детективный сериал **"МУР ЕСТЬ МУР-3".** **01.25** Марина Зубанова в фильме **"С ЛЮБОВЬЮ, ЛИЛЯ".** Живет в провинциальном городке молодая женщина Лиля. Работает на комбинате и коротает жизнь в уходе за дедом-инвалидом, надеясь встретить своего принца. Но его все нет, а есть то одно случайное знакомство, то другое... Дед решает уехать, чтобы не мешать внучке искать счастье. Лиля бросает вдогонку и садится в такси... **03.15** Одри Тату в комедии **"ХЭППИ ЭНД".** Молодая француженка Валь приезжает в Нью-Йорк, чтобы стать кинозвездой. Когда удача отворачивается от нее, она поселяется в палисаднике под окнами известного сценариста Джека Гарднера. И становится музой писателя, давно находящегося в творческом застое... **05.10** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК".**

## სამშაბათი 30.08

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ლუი" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "თავისუფალი ქალი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.25** მულტსერიალი "ლუი" **16.50** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** მულტფილმი "ლუი" **18.30** პატრული **19.00** ფორტ-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "თავისუფალი ქალი" **23.00** სერიალი "უცნობი" **00.10** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" (გ) (როუენ ატკინსონი) **02.20** პატრული

### მთავარი

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **08.50** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **09.00** სერიალი "ლინდა და პოლიციელი" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერიალი "ანასტასია" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მონსტრების პლანეტა" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** სერიალი "თოვლის დედოფალი" **14.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "გზა მაცხოვრისა" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" - ვენა **17.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **19.00** სერიალი "ქალი მეგობარი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** დოკ. ფილმი "ხუმრობის გარეშე" **23.00** პროფესიონალი - ქალები ჯარში **23.30** სერიალი "ლინდა და პოლიციელი" **00.30** ქართ. მხ. ფილმი "შემსრულებელი" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "სამეფო ქორწილი" (გ) **12.15** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **12.45** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ფეხბურთი: ვესტბრომვიჩი-ბირმინგემი **14.50** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **15.40** სერიალი "კარაბინერები" **16.40** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **17.30** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერები" **18.30** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.00** დოკ. ფილმი "ქართული ხმები" **20.00** "მზერა" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** კრიმ. სერიალი "სთშ" **22.30** მხ. ფილმი "შენ სულელი ხარ" (გ) **00.00** მხ. ფილმი "ინტიმური საიდუმლოებანი" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ზაბილინა" **20.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ვ. ნიჟინსკი" **21.45** კინოსეანსი "ლაზარეს თავგადასავალი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 13.00** ქრონიკა **08.10, 12.25, 17.15, 03.25** იმედის მელოდიები **08.30** მხ. ფილმი ":ანდარმის ქორწინება" **10.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.00** სპ. პროგრამა "ასი" **11.30** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.40, 16.25, 01.10** ტვ-მარკეტი **13.40** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 20.00, 23.00, 03.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.30** "ჩვენი ეზოს ამბები" **18.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **18.55** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **23.35** მხ. ფილმი "კაფკა" (გ) (ჯ. აირონსი) **01.45** მხ. ფილმი "რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული" (გ) (რ. ევერეტი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** მულტსერიალი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.30** კომედია "აი, პოლიც" **12.10** მხ. ფილმი "ლ-19" **14.30, 17.30, 20.30** "ახალი ამბები" **14.45** ფანტასტიკა "ვარსკვლავური ომები" **17.00** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "სპორტი" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "ჭრილში" **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.00** "ახალი ამბები" **00.20** ბოევიკი "განგსტერები"

### ОРТ

